პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

კვირა, 31 მარტი, 1946 წ. № 66 (7539). ფასი 20 კაპ.

## დღეს გაზეთში:

სასკოლო მუშაობის ახალი აღმავლობისათვის — მოწინავე (1-ლი გვერდი).
სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში (1-ლი გვერდი).
ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა (1-ლი გვერდი).
პროფკავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალურ საბჭოში (1-ლი გვერდი).
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატების შეხვედრები ამომრჩევლებთან (მე-2 გვერდი).
ა. კოკილაშვილი — ანაპელთა საბრძოლო გზა (მე-2 გვერდი).
ა. ნინუა, ე. უბილავა—ქალაქი ზურმუხტის ფარჩებში (მე-3 გვერდი).
ვ. გორგაძე—კოსტა ხეთაგუროვი (მე-3 გვერდი).
ი. ფედოროვი—საერთაშორისო მიმოხილვა (მე-4 გვერდი).
მთავარ გერმანელ სამხედრო დამნაშავეთა პროცესი ნიურნბერგში (მე-4 გვერდი).
უცხოეთის ამბები—დეპეშები (მე-4 გვერდი).

# სასკოლო მუშაობის ახალი აღმავლობისათვის

1945-46 სასწავლო წლის მესამე მეოთხედი დამთავრდა. ჩატარებული მუშაობის შეჯამებამ ცხადჰყო, რომ საგრძნობი მიღწევებია მოპოვებული ახალგაზრდობის სწავლა-აღზრდის საქმეში. ამ წარმატებებს ხელი შეუწყო ბოლშევიკური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მიერ ახალგაზრდობის სწავლების შემდგომი გაუმჯობესებისათვის დასახულ მთელ რიგ ღონისძიებათა განხორციელებამ.

წელს ბევრმა სკოლამ მუშაობის საუკეთესო მაგალითები გვიჩვენა მოზარდი თაობის სწავლა-აღზრდის საქმეში. განსაკუთრებით კარგი მაჩვენებლები აქვთ თბილისის ქალთა პირველ და მეორე საშუალო სკოლებს, ვაჟთა პირველ, მეორე და ოცდამეოთხე საშუალო სკოლებს, ბათუმის ქალთა მეორე საშუალო სკოლას, ქუთაისის ქალთა პირველ და მეათე საშუალო სკოლებს, გურჯაანისა და ქობულეთის საშუალო სკოლებს. მათ არ ჩამორჩებიან წულუკიძის ქალთა და მათხოჯის საშუალო სკოლები, ბოლნისის ქართული და ამავე რაიონის კაპანახჩის აზერბაიჯანული საშუალო სკოლები. ამ სკოლების ხელმძღვანელებმა ენერგიული მუშაობით განამტკიცეს სკოლის მატერიალური ბაზა, თავის დროზე მოამარაგეს სკოლა სახელმძღვანელოებითა და სასწავლო ნივთებით, დააკომპლექტეს იგი სათანადო კვალიფიკაციის მქონე პედაგოგიური კადრებით, რომელთა დიდი ნაწილი სისტემატურად აუმჯობესებს პედაგოგიური ოსტატობის ხერხებს, საფუძვლიანად ემზადება გაკვეთილისათვის, მკაფიოდ და გასაგებად აწვდის მოსწავლეებს დასამუშავებელ მასალას, სწავლების დროს ფართოდ იყენებს თვალსაჩინო ხელსაწყოებს, ახდენს მოსწავლეებზე აღმზრდელობითს, მორალურ-პედაგოგიურ გავლენას, სწორ მიმართულებას აძლევს მოსწავლის აზროვნებას, და ყოველივე ამის შედეგად მოსწავლეებიც საფუძვლიანად ეუფლებიან ცოდნას.

მიღწევები სასკოლო მუშაობის დარგში უსათუოდ გვაქვს, მაგრამ სწორი არ იქნებოდა არ დაგვენახა ნაკლოვანებებიც. მთავარი ნაკლი ის არის, რომ მასწავლებელთა გარკვეული ნაწილი საფუძვლიანად არ მუშაობს თავის თავზე, არ იღრმავებს ცოდნას, არ ემზადება გაკვეთილისათვის. ამას ერთვის ის გარემოება, რომ ზოგჯერ სახალხო განათლების ხელმძღვანელი ორგანოები მასწავლებლებს მეთოდურ დახმარებას არ უწევენ, მათი მუშაობისადმი კონტროლი ფორმალურ ხასიათს ატარებს, პედაგოგიური საბჭოები და მეთოდური თათბირები კი უმოქმედობას იჩენენ. სასკოლო მუშაობის საკითხებისადმი უყურადღებობას იჩენენ ზოგიერთი ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანოები. უმთავრესად ამით აიხსნება ის, რომ სასწავლო-სააღმზრდელო მუშაობის მხრივ ჯერ კიდევ არ არის დაძლეული ჩამორჩენა ბევრ სკოლაში. მათ რიცხვს ეკუთვნიან მცხეთის რაიონის ნიჩბისის, ქობულეთის რაიონის ხუცუბნის და თბილისის ოცდამეცხრე ვაჟთა საშუალო სკოლები. ყოვლად შეუწყნარებელ მოვლენას აქვს ადგილი ავჭალის საშუალო სკოლაში. აქ 465 მოსწავლიდან მეცადინეობას 60-70 პროცენტი ესწრება. ასეთივე მდგომარეობაა ბოლნისის რაიონის ზოგიერთ სკოლაში.

სასკოლო მუშაობის სათანადო სიმაღლეზე დაყენებისათვის, უპირველეს ყოვლისა, აუცილებელია სკოლას მეტი ყურადღება დაუთმონ ადგილობრივმა პარტიულმა და საბჭოთა ორგანოებმა. მათ ხშირად უნდა განიხილონ სასკოლო მუშაობის საკითხები, დასახონ კონკრეტული ღონისძიებანი და დაეხმარონ სკოლის ხელმძღვანელებს მათს განხორციელებაში.

მოსწავლეთა ცოდნის დონის ამაღლების მიზნით საჭიროა სასწავლო ნაწილის გამგეები სისტემატურად ამოწმებდნენ ცალკე დისციპლინებში საპროგრამო მასალის გავლის მდგომარეობას, მოსწავლეთა მომზადების დონეს, მათი წერითი სამუშაოების ხარისხს, შემოწმების შედეგებს კი იხილავდნენ პედაგოგიური საბჭოს სხდომებზე. ღრმად უნდა იქნას შესწავლილი აგრეთვე ჩამორჩენილ მოსწავლეთა მდგომარეობა, ჩამორჩენის გამომწვევი მიზეზები, რათა მივიღოთ ზომები ამ მიზეზების აღმოსაფხვრელად. მასწავლებლები სისტემატურად უნდა ამოწმებდნენ მოსწავლეთა მიერ საშინაო დავალებათა შესრულებას, ყოველ გაკვეთილზე ახდენდნენ მოწაფის ცოდნის შეფასებას, მტკიცედ ხელმძღვანელობდნენ პროგრამით, თანმიმდევრულად აწყობდნენ საკლასო წერითს მუშაობას.

საქართველოს ბოლშევიკების მებრძოლი ხელმძღვანელი ამხანაგი კ. ნ. ჩარკვიანი ამას წინათ „პრავდაში" სწერდა:

„საქართველოში ყოველ 4.000 მცხოვრებზე მოდის ერთი საშუალო სკოლა და ტექნიკუმი, ხოლო ყოველ 170 ათას მოსახლეზე—ერთი უმაღლესი სასწავლებელი. სახალხო განათლების ასეთი დონის არსებობისას ჩვენ ყველა შესაძლებლობა გვაქვს მაღალკვალიფიციურ სპეციალისტთა ახალი კადრების მასობრივი მომზადებისა, ახალგაზრდა მეცნიერ მუშაკთა კადრების მომზადებისა და, მაშასადამე, მეცნიერების ახალი მძლავრი აღმავლობისათვის. ეს შესაძლებლობანი სავსებით იქნება გამოყენებული".

ამხანაგ კ. ნ. ჩარკვიანის ეს სიტყვები სკოლის მუშაკთა წინაშე დიდ ამოცანებს აყენებს. ამ ამოცანების წარმატებით გადაწყვეტისაკენ უნდა იქნეს მიმართული თვითეული პედაგოგის, სახალხო განათლების დარგის თვითეული მუშაკის ყურადღება.

გავაძლიეროთ სასკოლო მუშაობა ჩვენი დიადი სტალინური ეპოქის მოზარდი თაობის ბოლშევიკურად აღზრდისათვის!

# ვ. მ. მოლოტოვმა მიიღო ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი ბ-ნი სმიტი

30 მარტს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ვ. მ. მოლოტოვმა მიიღო ამერიკის შეერთებული შტატების საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი სსრ კავშირში ბ-ნი უოლტერ ბ. სმიტი იმასთან დაკავშირებით, რომ მან თავისი რწმუნების სიგელები უნდა გადასცეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს.

### პროფკავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალურ საბჭოში

# ღონისძიებანი მუშა ახალგაზრდობის სკოლების მუშაობის გაუმჯობესებისათვის

პროფესიულ კავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს სამდივნომ განიხილა საკითხი მუშა ახალგაზრდობის სკოლების მუშაობის გაუმჯობესებაში პროფკავშირული ორგანიზაციების მონაწილეობის შესახებ.

ამჟამად რსფსრ მუშა და სოფლის ახალგაზრდობის საღამოს სკოლებში 400 ათასამდე ჭაბუკი და ქალიშვილი ითვლება. მომავალ სასწავლო წელს მოსწავლეთა რიცხვი ერთიორად გადიდდება. ეს სკოლები წარმოების ახალგაზრდა მუშებს საშუალებას აძლევენ საწარმოებში მუშაობისაგან მოუწყვეტლივ მიიღონ არასრული საშუალო და საშუალო განათლება.

პროფესიულ კავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს სამდივნომ წინადადება მისცა პროფკავშირულ ორგანიზაციებს საუკეთესო პირობები შექმნან მუშა ახალგაზრდობის სკოლების მოსწავლეთა წარმატებითი მეცადინეობისათვის. საჭიროა კონტროლი დაწესდეს იმაზე, რომ საწარმოთა დირექტორებმა უზრუნველჰყონ სკოლები კეთილმოწყობილი შენობებით, მოწყობილობით, გათბობით. გამოსაშვები გამოცდების დროისათვის მე-10 და მე-7 კლასების მოსწავლეებს უნდა მიეცეთ დამატებითი შვებულება ხელფასის შენახვით.

პროფკავშირების ცენტრალურ კომიტეტებს დაევალათ სავსებით გამოიყენონ მუშა ახალგაზრდობის სკოლებისათვის დახმარების გასაწევად მათთვის მიცემული სახსრები—მოაწყონ მოძრავი ბიბლიოთეკები და სამკითხველოები კლასგარეშე მეცადინეობისათვის, უფრო ფართოდ გააჩაღონ მოსწავლეთა შორის კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობა. პროფკავშირთა საფაბრიკო-საქარხნო და ადგილობრივმა კომიტეტებმა აპრილისა და მაისის განმავლობაში თავიანთ სხდომებზე უნდა მოისმინონ მუშა ახალგაზრდობის სკოლების დირექტორთა მოხსენებანი სწავლების მიმდინარეობის შესახებ. (საკდესი).

# სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში

## ტრაქტორებისა და სასოფლო-სამეურნეო მანქანების რემონტის გეგმების საუკეთესოდ შესრულებისათვის ოლქების, მხარეებისა და რესპუბლიკების სრულიად საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების 1946 წლის თებერვლის შედეგების შესახებ

განიხილა რა ტრაქტორებისა და სასოფლო-სამეურნეო მანქანების რემონტის გეგმების საუკეთესოდ შესრულებისათვის ოლქების, მხარეებისა და რესპუბლიკების სრულიად საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების 1946 წლის თებერვლის შედეგები, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ **დაადგინა:**

1. ცნობილ იქნან სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულად, გადაეცეთ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს გარდამავალი წითელი დროშები და მიეცეთ ფულადი პრემიები:

უკრაინის სსრ კამენეც-პოდოლსკის ოლქს
უკრაინის სსრ კიევის ოლქს
მოსკოვის ოლქს
ირკუტსკის ოლქს
სტალინგრადის ოლქს.

2. აღინიშნოს 1946 წლის თებერვალში ტრაქტორების რემონტის გეგმის შესრულებაში ბელორუსიის, სომხეთის, ყირგიზეთის, ესტონეთის, ლატვიის სს რესპუბლიკების; იაკუტიის, თათრეთის ასს რესპუბლიკების; უკრაინის სსრ ვინიცის, ხარკოვის, პოლტავისა და ჟიტომირის ოლქების; ყაზახეთის სსრ ყარაგანდის, ალმა-ატის, კოკჩეტავის, სემიპალატინსკისა და აქმოლინსკის ოლქების; ორიოლის, სარატოვის, ბრიანსკის, სმოლენსკის, ტიუმენის, ივანოვოს, ფსკოვისა და ლენინგრადის ოლქების კარგი მუშაობა.

# საკავშირო კ. პ. (ბ) ლენინგრადის საოლქო და საქალაქო კომიტეტების გაერთიანებული პლენუმი

ამ დღეებში შესდგა საკავშირო კ. პ. (ბ) ლენინგრადის საოლქო და საქალაქო კომიტეტების გაერთიანებული პლენუმი.

პლენუმმა მოისმინა და განიხილა საკითხები:

1. 1946 წელს საგაზაფხულო თესვის მზადების მიმდინარეობისა და ჩატარების შესახებ.
2. ლენინგრადის პარტიული ორგანიზაციის შემადგენლობისა და ზრდის შესახებ.

ორივე საკითხზე პლენუმმა მიიღო სათანადო გადაწყვეტილება.

ამხ. ა. ა. კუზნეცოვის საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივნად არჩევისა და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტში სამუშაოდ მისი გადასვლის გამო საკავშირო კ. პ. (ბ) საოლქო და საქალაქო კომიტეტების გაერთიანებულმა პლენუმმა საკავშირო კ. პ. (ბ) ლენინგრადის საოლქო და საქალაქო კომიტეტების პირველ მდივნად აირჩია ამხ. პ. ს. პოპკოვი, რომელიც მუშაობდა მშრომელთა დეპუტატების ლენინგრადის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარედ. (საკდესი).

# პროფკავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს XV პლენუმი

პროფკავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმმა დაადგინა პროფკავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს XV პლენუმი მოიწვიოს 1946 წლის 10 აპრილს. დღის წესრიგშია საკითხი პროფკავშირული ორგანიზაციების ამოცანების შესახებ სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების 1946-1950 წლების ხუთწლიანი გეგმის შესრულებაში. მომხსენებელია ამხ. ვ. ვ. კუზნეცოვი. (საკდესი).

# თათბირი მალარიის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ

27 მარტს მოსკოვში დამთავრდა სსრ კავშირისა და რსფსრ რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ მოწვეული თათბირი მალარიის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ. თათბირმა მოისმინა სამინისტროების ეპიდემიის საწინააღმდეგო სამმართველოთა უფროსების ამხანაგების როგოზინისა და ხაზანოვის მოხსენებანი.

დიდი ინტერესი გამოიწვია სამედიცინო მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრის პროფესორ პ. გ. სერგიევის მოხსენებამ „მეოთხე ხუთწლედში მალარიის წინააღმდეგ ბრძოლის ძირითად მიმართულებათა შესახებ". პროფესორმა სერგიევმა განაცხადა, რომ 1950 წელს განსაკუთრებული გამოყენების ავიაციის თვითმფრინავები მოასხურებენ ხუთ მილიონ ჰექტარ დაჭაობებულ ფართობს, რომელიც კოღოს გამრავლების წყაროს წარმოადგენს. სხვა საშუალებებით სპეციალურად დამუშავდება ასეულ ათასობით ჰექტარი სხვადასხვა წყალსატევი. ასი ათას ჰექტარ წყლის ფართობში მოშენდება თევზი გამბუზია, რომელიც კოღოს მატლებს სპობს. (საკდესი).

# მზადება არქტიკული ნავიგაციისათვის

**მოსკოვი,** („კომუნისტის" საკუთარი კორესპონდენტისაგან). ჩრდილოეთის საზღვაო გზის მთავარი სამმართველო ემზადება მეორე ომისშემდგომი არქტიკული ნავიგაციისათვის. ადგენენ არქტიკულ მაგისტრალებზე ყინულმჭრელების, საზღვაო და სამდინარო გემების მოძრაობის გრაფიკს. აზუსტებენ სხვადასხვა ტვირთების შემოზიდვის გეგმებს.

1946 წელს არქტიკაში გაიხსნება 4 ახალი პოლარული სადგური. გარდა ამისა, პოლარელებმა დიდი მუშაობა უნდა გასწიონ არქტიკის დასავლეთ და აღმოსავლეთ სექტორებში არსებული რადიოცენტრების რეკონსტრუქციისა და ახლების მშენებლობისათვის. უნდა შეიცვალონ და დიდ მიწაზე გადმოყვანილ იქნან პოლარული სადგურების ის მუშაკები, რომლებიც იქ დიდი სამამულო ომის მთელი პერიოდის განმავლობაში მუშაობდნენ. მათ ნაცვლად გაიგზავნებიან წითელი არმიიდან დემობილიზებული პოლარელები და სპეციალისტები, რომლებმაც ჩრდილოეთის საზღვაო გზის მთავარი სამმართველოს სასწავლებლები დაამთავრეს.

უახლოეს დღეებში დაიწყება ყინულის წინასანავიგაციო საჰაერო დაზვერვა. წინასანავიგაციო პერიოდში პოლარელი მფრინავები მოახდენენ მთელ რიგ ხანგრძლივ გადაფრენებს, რათა გამოარკვიონ კარის, ლაპტევების, აღმოსავლეთ ციმბირისა და ჩუკოტკის ზღვების ყინულთა მდგომარეობა.

# მძლავრი ელმავლები შახტებისათვის

კიროვის სახელობის „დინამოს" ქარხნის და მოსკოვის ენერგეტიკული ინსტიტუტის კონსტრუქტორებმა დააპროექტეს შახტის ახალი 7-ტონიანი ელმავალი, რომელიც პირველად იმუშავებს უშუალოდ ცვალებადი დენით. ჩვეულებრივად შახტების ელმავლებს აქვთ ვერცხლის წყლის გამმართველები, რომლებიც ცვალებად დენს მუდმივ დენად აქცევენ. ამჟამად საჭირო აღარ არის ასეთი გამმართველების დადგმა.

ქარხნის საელმავლო საამქროში მთავრდება მონტაჟი ექსპერიმენტული ელმავლისა, რომლის შემოწმებაც მოხდება მოსკოვის ქვანახშირის აუზის ერთ-ერთ შახტში.

დამთავრდა სამუშაო პროექტი და დაიწყო ახალ მძიმე 14-ტონიან სამადნო ელექტრომავალთა ელექტრომოწყობილობის გამოშვებისათვის მზადება. ეს ელექტრომავლები განკუთვნილია იმ უდიდესი შახტებისათვის, რომელთა რეკონსტრუქციაც ხდება, და მათ შეეძლებათ ატარონ ერთიორად უფრო მძიმე შემადგენლობანი, ვიდრე ახლანდელი ელექტრომავლები ატარებენ.

დინამოელებმა ვალდებულება იკისრეს ივნისისათვის გამოუშვან პირველი სამი მძლავრი ელმავალი. (საკდესი).

# ხუთწლიანი გეგმის კანონი ცალკე ბროშურად გამოდის

**ლენინგრადი,** 29 მარტი. (საკდესი). „ბეჭდვითი სახლის" სტამბაში ცალკე ბროშურად იბეჭდება „კანონი სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების 1946-1950 წლების ხუთწლიანი გეგმის შესახებ". უახლოეს დღეებში წიგნი გამოვა 500 ათას ცალად.

# ბ რ ძ ა ნ ე ბ უ ლ ე ბ ა

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა მრავალშვილიანი დედების „სახელოვანი დედის" ორდენებითა და „დედობის მედლის" მედლებით დაჯილდოების შესახებ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1944 წ. 18 აგვისტოს ბრძანებულების საფუძველზე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით დაჯილდოვდნენ:

### დედები, რომლებმაც შობეს და აღზარდეს ცხრა შვილი „სახელოვანი დედის" I ხარისხის ორდენით

1. **მჟავანაძე** ვერა რაჟდენის-ასული—დიასახლისი, სოფელი ზედა ბზვანი, ვანის რაიონი;
2. **მურუზოვა** მაკრინე ფეოდოსის-ასული—ბაშკიჩეთის რაიონის სოფელ კაშკატალის კოლმეურნეობის წევრი;
3. **კალანოვა** ფეოკლა ფეოფილაქტის-ასული—ბაშკიჩეთის რაიონის სოფელ კაშკატალის კოლმეურნეობის წევრი;
4. **ხელაძე** ანასტასია ფარსადანის-ასული — დიასახლისი, სოფელი ზეინდარი, ვანის რაიონი.

### დედები, რომლებმაც შობეს და აღზარდეს რვა შვილი „სახელოვანი დედის" II ხარისხის ორდენით

1. **ადეიშვილი** ეკატერინე მაქსიმეს-ასული—ვანის რაიონის სოფელ დუცხუნის მიქოიანის სახელობის კოლმეურნეობის წევრი;
2. **ადუაშვილი** ოლღა მათეს-ასული—ბაშკიჩეთის რაიონის სოფელ მიჯის კოლმეურნეობის წევრი;
3. **დიასამიძე** ანა ალექსანდრეს-ასული—დიასახლისი, სოფელი ქვედა ვანი, ვანის რაიონი;
4. **კალანოვა** ელისაბედ ფეოფილაქტის-ასული—ბაშკიჩეთის რაიონის სოფელ კაშკატალის კოლმეურნეობის წევრი;
5. **მარტიროსოვა** მანიაკ ბეგლარას-ასული — ბაშკიჩეთის რაიონის სოფელ დიდი დმანისის კოლმეურნეობის წევრი;
6. **მამასახლისი** ოლღა ნიკოლოზის-ასული — დიასახლისი, სოფელი ზეინდარი, ვანის რაიონი;
7. **მაჭუტაძე** ნინო პარმენის-ასული—დიასახლისი, სოფელი გალმა ტობანიერი, ვანის რაიონი.
8. **ნიარ** ისმაილ ყიზი—ბაშკიჩეთის რაიონის სოფელ ამამლოს ბაქრაძის სახელობის კოლმეურნეობის წევრი;
9. **ოქრიაშვილი** ქეთევან სოლომონის-ასული—ბაშკიჩეთის რაიონის სოფელ პატარა დმანისის კოლმეურნეობის წევრი;
10. **თვალაბეიშვილი** თებრონე ლუკას-ასული—ვანის რაიონის სოფელ დუცხუნის მიქოიანის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.

### დედები, რომლებმაც შობეს და აღზარდეს შვიდი შვილი „სახელოვანი დედის" III ხარისხის ორდენით

1. **ნანობაშვილი** ასინეთა ბესარიონის-ასული—ვანის რაიონის სოფელ მუქედის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის წევრი;
2. **ოჩხიკიძე** რიმა გიორგის-ასული—დიასახლისი, სოფელი მიქელეფონი, ვანის რაიონი;
3. **პარი** აჯი ყიზი—ბაშკიჩეთის რაიონის სოფელ დალარის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის წევრი;
4. **სუპატაშვილი** ნინო გრიგოლის-ასული — დიასახლისი, სოფელი სულორი, ვანის რაიონი;
5. **სანიკიძე** ლუბა იულონის-ასული—დიასახლისი, სოფელი ქუშუბაური, ვანის რაიონი;
6. **სამოილოვა** ელისაბედ გრიგოლის-ასული—ბაშკიჩეთის რაიონის სოფელ ბაშკიჩეთის კუიბიშევის სახელობის კოლმეურნეობის წევრი;
7. **სანამ** ისა ყიზი—ბაშკიჩეთის რაიონის სოფელ საფარლოს სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრი;
8. **ტუკოზბან** ქერიმ ყიზი—ბაშკიჩეთის რაიონის სოფელ ირგანჩაის კოლმეურნეობის წევრი;
9. **ლვინიანიძე** მარიამ ლუარსაბის-ასული — ვანის რაიონის სოფელ შუამთის კოლმეურნეობის წევრი;
10. **ხუჭუა** სოფიო ილარიონის-ასული — დიასახლისი, სოფელი მთისძირი, ვანის რაიონი;
11. **ხადიჩა** ნოვრუზ ყიზი—ბაშკიჩეთის რაიონის სოფელ ყიზილ-ქილისის კოლმეურნეობის წევრი;
12. **ხანფარი** ახმედ ყიზი—ბაშკიჩეთის რაიონის სოფელ ირგანჩაის კოლმეურნეობის წევრი;
13. **ხეირანსა** ასკიარ-ყიზი—მუშა, სოფელი ბაგასკასან, ბაშკიჩეთის რაიონი;
14. **ჭიქაშუა** ქსენია აკაკის-ასული—დიასახლისი, სოფელი მუქედი, ვანის რაიონი.

### დედები, რომლებმაც შობეს და აღზარდეს ექვსი შვილი „დედობის მედლის" I ხარისხის მედლით

1. **ავა** სულეიმან ყიზი—ბაშკიჩეთის რაიონის სოფელ საფარლოს სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრი;
2. **გიულსაფა** აბას ყიზი—ბაშკიჩეთის რაიონის სოფელ ირგანჩაის კოლმეურნეობის წევრი;
3. **კორძაძე** ალექსანდრა (საშიკო) ვასილის-ასული—დიასახლისი, სოფელი მუქედი, ვანის რაიონი;
4. **კიკაბიძე** პასიკო ალექსანდრეს-ასული — დიასახლისი, სოფელი მთისძირი, ვანის რაიონი;
5. **კაცაძე** სოფიო სამსონის-ასული — ვანის რაიონის სოფელ ტობანიერის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის წევრი;
6. **ლეჟავა** ანტისო ანტონის-ასული — დიასახლისი, სოფელი მთისძირი, ვანის რაიონი;
7. **მინდელი** გალინა ბესარიონის-ასული — დიასახლისი, სოფელი ამაღლება, ვანის რაიონი;
8. **მეფარიშვილი** მინადორა ბუჭუას-ასული—ვანის რაიონის სოფელ ტობანიერის კოლმეურნეობის წევრი;
9. **ნიარ** ოსმან ყიზი—ბაშკიჩეთის რაიონის სოფელ ირგანჩაის კოლმეურნეობის წევრი;
10. **რამიშვილი** თეკლე ალექსანდრეს-ასული—დიასახლისი, სოფელი მუქედი, ვანის რაიონი;
11. **ფატმა** მუსთაფა ყიზი—ბაშკიჩეთის რაიონის სოფელ ირგანჩაის კოლმეურნეობის წევრი;
12. **ციხელაშვილი** ელისაბედ (ლიზა) ანდროს-ასული—ბაშკიჩეთის რაიონის სოფელ კალამშას ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის წევრი;
13. **ხუციშვილი** ფაცია პორფილეს-ასული — ვანის რაიონის სოფელ მუქედის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.

### დედები, რომლებმაც შობეს და აღზარდეს ხუთი შვილი „დედობის მედლის" II ხარისხის მედლით

1. **არველაძე** მარიამ ბეგლარის-ასული—ვანის რაიონის სოფელ მიქელეფონის მიქოიანის სახელობის კოლმეურნეობის წევრი;
2. **გაბუნია** სოფიო ბათლომეს-ასული—დიასახლისი, სოფელი ამაღლება, ვანის რაიონი;
3. **გორგაძე** მარიამ პავლეს-ასული — ვანის რაიონის სოფელ მუქედის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის წევრი;
4. **გოგოძე** ზინაიდა ევგენის-ასული—დიასახლისი, სოფელი მუქედი, ვანის რაიონი;
5. **გიულხანუმ** ოსმან ყიზი—ბაშკიჩეთის რაიონის სოფელ მამიშლოს კოლმეურნეობის წევრი;
6. **ეთარ** მაჰამედ ყიზი—ბაშკიჩეთის რაიონის სოფელ ირგანჩაის კოლმეურნეობის წევრი;
7. **ზეინაბ** აბას ყიზი—ბაშკიჩეთის რაიონის სოფელ ამამლოს კოლმეურნეობის წევრი;
8. **მეფარიშვილი** დონია ისიდორეს-ასული — დიასახლისი, სოფელი ამაღლება, ვანის რაიონი;
9. **მეფარიშვილი** ლიდა ლეონტის-ასული—ვანის რაიონის სოფელ ტობანიერის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრი;
10. **პარნისა** ისმაილ ყიზი—ბაშკიჩეთის რაიონის სოფელ ბეზაქლას კოლმეურნეობის წევრი;
11. **გიულპარი** ასტან ყიზი—ბაშკიჩეთის რაიონის სოფელ ამამლოს ბაქრაძის სახელობის კოლმეურნეობის წევრი;
12. **ნაზანი** ალაზ ყიზი—ბაშკიჩეთის რაიონის სოფელ ანგერავანის კოლმეურნეობის წევრი;
13. **სიტნიკოვა** ევდოკია ნიკოლოზის-ასული—ბაშკიჩეთის რაიონის სოფელ ბაშკიჩეთის კუიბიშევის სახელობის კოლმეურნეობის წევრი;
14. **თვალამეიშვილი** ანდიოფა ერმალოს-ასული—დიასახლისი, სოფელი ყუმური, ვანის რაიონი;
15. **ჩიტორელიძე** პრისკინე ერემიას-ასული—დიასახლისი, სოფელი ამაღლება, ვანის რაიონი;
16. **ჯოგლიძე** მარიამ ლეონტის-ასული—ვანის რაიონის სოფელ ტობანიერის კოლმეურნეობის წევრი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ბ. სტურუა**
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ვ. ეგნატაშვილი**
1946 წ. 12 თებერვალი. ქ. თბილისი.

# დაიწყო მიღება სამხედრო-საზღვაო სასწავლებლებში

**ლენინგრადი,** 29 მარტი. (საკდესი). გამოცხადებულია ახალი მიღება სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების სამინისტროს სპეციალურ და უმაღლეს სამხედრო-საზღვაო სასწავლებლებში.

— წელს,—აცნობა საკდესის კორესპონდენტს სამხედრო-საზღვაო სასწავლებელთა უფროსმა, ვიცე-ადმირალმა სტეპანოვმა,—ჩვენ ვეწევით ახალგაზრდობის დიდ შეგროვებას სამხედრო-საზღვაო სასწავლებლებში. შეგროვება დამთავრდება 15 ივნისისათვის. მიმღებმა კომისიებმა უკვე დაიწყეს მუშაობა.

მიღება სწარმოებს: რიგის სანაპირო დაცვის საარტილერიო სასწავლებელში, ტაგანროგის საზენიტო არტილერიის სასწავლებელში, კრონშტადტის ტექნიკურ სანაღმო-საარტილერიო სასწავლებელსა და ორანიენბაუმის კავშირგაბმულობის სასწავლებელში. დაიწყო აგრეთვე განცხადებათა მიღება სევასტოპოლის სამხედრო-საზღვაო სასწავლებელსა და ფლოტის მექანიკოსთა სასწავლებლებში, ვიბორგის საზღვაო ქვეითი ჯარისა და საინტენდანტო სასწავლებელში, ოდესის საფერშლო სასწავლებელში. სწავლების ვადაა ორიდან ოთხ წლამდე. ეს სასწავლებლები ამზადებენ სამწყობრო, საინტენდანტო, სახომალდო სამსახურის, საჰაერო დაცვის და სხვა ოფიცრებს.

დაიწყო მიღება ლენინგრადის უმაღლეს სამხედრო-საზღვაო სასწავლებლებში: მ. ვ. ფრუნზეს სახელობის სასწავლებელში, ფ. ე. ძერჟინსკის სახელობის საინჟინრო სასწავლებელში და საინჟინრო-ტექნიკურ სასწავლებელში, ბაქოს კასპიის სასწავლებელში და ვლადივოსტოკის წყნარი ოკეანის სასწავლებელში. გარდა ამისა, იღებენ განცხადებებს სამხედრო-საზღვაო ფაკულტეტზე ლენინგრადის სახელმწიფო კონსერვატორიასთან, სადაც ისწავლიან ფლოტის მომავალი კაპელმაისტრები.

ყველა ამ სამხედრო-საზღვაო სასწავლებელში მიიღებიან ახალგაზრდები 17-დან 22 წლის ასაკამდე, რომელთაც აქვთ სიმწიფის ატესტატები ან მოწმობა სრული საშუალო სკოლის დამთავრების შესახებ, აგრეთვე რიგითი და ზემდეგთა შემადგენლობის სამხედრო მოსამსახურენი არა უხნეს 25 წლისა. საფერშლო და ტექნიკურ სანაღმო-საარტილერიო სასწავლებლებში შესასვლელად საკმაოა შვიდწლიანი განათლება.

გარდა ამისა, დაიწყო მიღება ლენინგრადის, ვლადივოსტოკის, ბაქოს და გორკის მოსამზადებელ სამხედრო-საზღვაო სასწავლებლებში. ამ სასწავლებლებში იღებენ 14-15 წლის ჭაბუკებს, რომელთაც დაამთავრეს საშუალო სკოლის 7 კლასი.

საკონკურსო გამოცდები ჩატარდება 1 ივლისიდან 15 აგვისტომდე სრული საშუალო სკოლის პროგრამის მოცულობით. უგამოცდოდ მიიღებიან კურსანტები, რომლებმაც დაამთავრეს მოსამზადებელ სასწავლებელთა კურსი და ის პირები, რომლებმაც საშუალო განათლება ოქროს ან ვერცხლის მედლით დაასრულეს.

## საბჭოთა კავშირში

### საპირადო მოხმარებისათვის

სსრ კავშირის ვაჭრობის სამინისტროს საწარმოებმა წელს მოსახლეობისათვის უნდა გამოუშვან 3 მილიარდზე მეტი მანეთის ფართო მოხმარების სხვადასხვა საგნები და სასურსათო საქონელი.

გამოშვებულ უნდა იქნეს 792 მილიონი მანეთის სამკერვალო ნაწარმი და ქუდები. მატულობს სამოდელო ფეხსაცმლისა და სხვადასხვა ტანისამოსის გამოშვება. განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა მომხმარებელთა ინდივიდუალური შეკვეთით ფეხსაცმლის, კოსტიუმების, კაბების, თეთრეულის შეკერვას.

მნიშვნელოვნად გაიზრდება საფეიქრო გალანტერიის—თავშლების, ჰალსტუკების, კაშნეების, აგრეთვე საიუველირო საგალანტერიო ნაკეთობის — ლამაზი ღილების, ქინძისთავებისა და სხვათა გამოშვება. გადაწყვეტილია უნივერსალურ მაღაზიებში შეიქმნას საამქროები ქალის სამოდელო ქუდების დასამზადებლად.

კვების კომბინატები წელს გაადიდებენ მაღალხარისხოვანი საკონდიტრო ნაწარმის, უალკოჰოლო სასმელების, ხილისა და კენკრის წვენისა და სიროფების გამოშვებას.

სსრ კავშირის ვაჭრობის სამინისტროს საწარმოებში განზრახულია ინდივიდუალური მოწაფეობის წესით მომზადდეს 14 ათასზე მეტი კვალიფიციური მკერავი, მეფეხსაცმელე, იუველირი, მესაათე და სხვ. (საკდესი).

### სასკოლო კალმები და ავტომატური კალმისტრები

**იაროსლავლი,** 27 მარტი. (საკდესი). იაროსლავლის ქარხანა „სოიუზის" კოლექტივი მუშაობს სამოსწავლო კალმების ხარისხის გაუმჯობესებისათვის. ხდება კიდევ 5 ახალი ხარისხის კალმების ათვისება. ძირფესვიანად იცვლება წარმოების ტექნოლოგია. მრავალი მასალა, რაც წინათ ჩვენი ქვეყნის შორეული ოლქებიდან შემოჰქონდათ, ადგილობრივი მასალით იცვლება.

წელს საწარმო გამოუშვებს 220 მილიონ კალამს. დიდდება ავტომატური კალმისტრების წარმოება. ქარხანამ აითვისა უფრო ლამაზი ავტოკალმისტრების წარმოება და შეუდგა მათს მასობრივ გამოშვებას.

### სუპერფოსფატის ახალი ქარხანა

უზბეკეთში საექსპლოატაციოდ გადასცეს კოკანდის სუპერფოსფატის ქარხნის პირველი რიგი წელიწადში 100 ათასი ტონა სუპერფოსფატის სიმძლავრისა. მშენებლებმა იკისრეს ვადამდე დაამთავრონ ქარხნის მეორე რიგი და სუპერფოსფატის გამოშვება აიყვანონ საპროექტო სიმძლავრემდე 200 ათასი ტონამდე წელიწადში.

ახალი ქარხანა უშვებს მაღალხარისხოვან სასუქს, რასაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს შუა აზიის რესპუბლიკებში მებამბეობის შემდგომი განვითარებისათვის.

## სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატების შეხვედრა ამომრჩევლებთან

### დეპუტატი მათიაშვილი ანგარიშს აბარებს ამომრჩევლებს

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი [illegible] ფებულ შთაბეჭდილებას.

29 მარტს თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის ახალგაზრდა მუშებმა შეხვედრა მოუწყეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს დეპუტატს ამხ. თ. მათიაშვილს. ახალგაზრდებმა სთხოვეს დეპუტატს დაწვრილებით ეამბნა ყოველივე.

— მოსკოვში მისვლისას,—ამბობს ამხ. მათიაშვილი,—ჩვენი პირველი ფიქრი იყო გვენახა დიდი ლენინის მავზოლეუმი. როდესაც ვუყურებდი ლენინის სახეს, მომაგონდა მისი სიტყვები—ყოველმა მზარეულმა ქალმაც კი უნდა შესძლოს სახელმწიფოს მართვაო. და აი მართლაც ახდა ბელადის სიტყვები: ჩვენ, უბრალო ქალები, კოლმეურნეები, მასწავლებლები, ჩავედით მოსკოვში, რათა მონაწილეობა მიგვეღო სახელმწიფოებრივი საქმეების გადაწყვეტაში. ეს შესაძლებელია მხოლოდ ჩვენს ქვეყანაში.

შემდეგ დეპუტატი მოუთხრობს ახალგაზრდებს, თუ რა მღელვარებით ელოდნენ სესიის მონაწილენი დიდი სტალინის ნახვას, რა ალტაცებით შეეგება მთელი დარბაზი დიდი ბელადის გამოჩენას.

— მქუხარე ხანგრძლივი ტაშითა და ოვაციით,—ამბობს იგი, — დეპუტატებმა გამოხატეს მთელი საბჭოთა ხალხის უსაზღვრო სიყვარული და ერთგულება ჩვენი სამშობლოს ყველა გამარჯვებათა ორგანიზატორის დიდი სტალინისადმი.

შემდეგ ამხ. მათიაშვილი დაწვრილებით ლაპარაკობს იმის შესახებ, თუ როგორი ერთსულოვნების ვითარებაში სწარმოებდა სესიაზე სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების ხუთწლიანი [illegible] კონკრეტულად არის ნათქვამი, რომ საქართველომ 1950 წლისათვის აბრეშუმის ქსოვილის წარმოება უნდა გაადიდოს 6.830 ათას მეტრამდე. ამ დავალების შესრულებაში უშუალო მონაწილეობას იღებს თქვენი ფაბრიკა და, კერძოდ, თქვენც. თქვენი ამოცანა ის არის, რომ თავდადებული და ენერგიული შრომით მიაღწიოთ გეგმის გადაჭარბებით შესრულებას, ჩვენს ქვეყანას მისცეთ მეტი აბრეშუმის ქსოვილი.

სამღებრო-სააპრეტურო საამქროს ახალგაზრდა მუშების სახელით კრებაზე გამოვიდა გ. მამულაშვილი.

— ამ დღეებში ,— ამბობს ის, — მთელი ჩვენი ყურადღება მიპყრობილი იყო სესიის მუშაობისაკენ. დარწმუნებული ვიყავით, რომ ჩვენი წარგზავნილები გაამართლებდნენ ნდობას, მიიღებდნენ ისეთ გადაწყვეტილებებს, რომლებიც მიმართული იქნებოდა სამშობლოს შემდგომი გაძლიერებისაკენ, ხალხის კეთილდღეობის ამაღლებისაკენ. სესიამ მიიღო ასეთი გადაწყვეტილებები. ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ, რათა მთლიანად და გადაჭარბებით შევასრულოთ დიადი გეგმა.

ოთხდაზგოსანი სტახანოველი მქსოველი ნინო მელიქაძე მიესალმა დეპუტატ თ. მათიაშვილს და განაცხადა:

— მე უკვე ჩავები სოციალისტურ შეჯიბრებაში მეოთხე სტალინური ხუთწლედის პირველი წლის გეგმის გადაჭარბებით შესრულებისათვის. გაძლევთ სიტყვას, რომ ჩემს ვალდებულებებს პირნათლად შევასრულებ.

კრება დამთავრდა, მაგრამ ამხ. მათიაშვილს კიდევ დიდხანს ესაუბრებოდნენ ახალგაზრდა მუშები.

### სესიის გადაწყვეტილებათა საპასუხოდ

მახარაძის რაიონის ლაითურის კიროვის სახელობის ჩაის საბჭოთა მეურნეობის და ჩაის ფაბრიკის მუშამოსამსახურეთა კრებაზე, რომელიც მიეძღვნა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პირველი სესიის გადაწყვეტილებათა განხილვას, მოხსენებით გამოვიდა დეპუტატი ვასილ ვლადიმერის-ძე სიხარულიძე. მან თავის ამომრჩევლებს დაწვრილებით გააცნო სესიის მიერ მიღებული კანონები და მოუწოდა მათი შესრულებისათვის თავდადებული მუშაობისაკენ.

— სესიის გადაწყვეტილებათა საპასუხოდ,—სთქვა კომკავშირული ბრიგადის ხელმძღვანელმა ორდენოსანმა ნ. შეყრილაძემ, — ჩემმა ბრიგადამ ჩაის პლანტაციის დაბარვის გეგმა 15 დღით ადრე შეასრულა. ბრიგადის სახელით ვალდებულებას ვკისრულობ წელს გეგმის გადამეტებით მოვკრიფოთ 5.000 კილოგრამი ჩაის მწვანე ფოთოლი.

საბჭოთა მეურნეობის მთავარმა აგრონომმა ვახტანგ ჭეიშვილმა კრებაზე განაცხადა, რომ პლანტაციის საუკეთესო მოვლით წელს გეგმის გადამეტებით სახელმწიფოს მისცემენ ოც ტონა ჩაის მწვანე ფოთოლს, მოჰკრეფენ მხოლოდ პირველი ხარისხის ჩაის, გადამეტებით შეასრულებენ ტუნგოს და ციტრუსების დამზადების გეგმებს.

* * *

ლაითურის საბჭოთა მეურნეობაში დიდი შრომითი აღმავლობაა. 987 ჰექტარი ჩაის პლანტაცია მეურნეობის კოლექტივმა 10 დღით ადრე გადაბარა და შეიტანა საჭირო რაოდენობის სასუქი. მთავრდება ჩაის გასხვლა. მეურნეობის ცნობილმა სტახანოველმა პრასკოვია ლუსკამ 23 მარტს 3.000 მეტრი პლანტაცია გასხლა. ამით მან დღიური დავალება 1.200 პროცენტით შეასრულა. დაბარვის გეგმები ვადაზე ადრე შეასრულეს აგრორაიონებმა, რომლებსაც მოსე ბაქანიძე, გიორგი ბერიძე და ისაკი ჩოლობარგია ხელმძღვანელობენ.

**ვ. ლოლაძე**
„კომუნისტის" საკუთარი კორესპონდენტი

## გორელი მეჭარხლეები უხვ მოსავალს გვპირდებიან

უკანასკნელი წლების მანძილზე გორის რაიონში მრავლად აღიზარდნენ შაქრის ჭარხლის უხვი მოსავლის ოსტატები. სოფელ ქვემო ხვითის კოლმეურნეობის მეჭარხლეთა ბრიგადამ (ხელმძღვანელი გ. ბასილაძე) შარშან ჰექტარზე 780 ცენტნერი შაქრის ჭარხალი მოიყვანა, სოფელ სათემოს კოლმეურნეობის ბრიგადამ (ხელმძღვანელი მ. ჯავახიშვილი)—600 ცენტნერი. ზემო ნიქოზის კოლმეურნეობის წევრმა ელენე მჭედლიძემ ჰექტარზე აიღო 978 ცენტნერი შაქრის ჭარხალი, სოფელ მარანას კოლმეურნემ ა. ბესტავაშვილმა—1.292 ცენტნერი, სოფელ დიცის კოლმეურნემ ა. ხმიადაშვილმა 1.250 ცენტნერი.

ბეჯითი შრომით, აგროტექნიკურ ღონისძიებათა ზუსტად გატარებით შარშან გორის რაიონის კოლმეურნეებმა გადაჭარბებით შეასრულეს შაქრის ჭარხლის დამზადების გეგმა, სახელმწიფოს ჩააბარეს 192.800 ცენტნერი მაღალხარისხოვანი ნედლეული. წელს ისინი მიზნად ისახავენ მეტი შაქრის ჭარხალი მოიყვანონ ჩვენი სამშობლოსათვის.

გორელი მეჭარხლეები დროულად გამოეხმაურნენ წითელწყაროელთა მიმართვას უხვი მოსავლისათვის სოციალისტური შეჯიბრების გაჩაღების შესახებ. მათ თავის მხრივ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვიეს კასპის რაიონის მეჭარხლეები და იკისრეს:

1.100 ჰექტარზე 15 აპრილისათვის დაამთავრონ შაქრის ჭარხლის თესვა, დასთესონ 285 სტახანოვური ჰექტარი, საშუალოდ სტახანოვურ ჰექტარზე მოიყვანონ 800 ცენტნერი ჭარხალი, მთლიანად რაიონში კი ჰექტარზე — 240 ცენტნერი.

აღებულ ვალდებულებათა განაღდებისათვის კოლმეურნეები გაცხოველებით მუშაობენ. მათ კარგად დაამუშავეს მიწები. საჭარხლე ნაკვეთებში გაზიდულია 8.600 ტონა ნაკელი და 1.000 ტონამდე მინერალური სასუქი.

შაქრის ჭარხლის თესვისათვის სამაგალითოდ მოემზადა ახალუბნის, ხელთუბნის, ზემო ხიდისთავის, კარალეთის, მექვაბიანთუბნის და ბევრი სხვა კოლმეურნეობა. ახალუბნის კოლმეურნეობამ საჭარხლედ 20 ჰექტარი მიწა გასული წლის შემოდგომაზე მოხნა მზრალად, მინდვრებში გაიტანა ნაკელი, გამოჰყო სტახანოვური ნაკვეთები. კარალეთის კოლმეურნეობაშიც ყოველმხრივ მომზადებული არიან თესვისათვის. გამოყოფილია საჭარხლედ 10 სტახანოვური ჰექტარი. აქ საშუალოდ ჰექტარზე 1.000 ცენტნერ ჭარხალს გვპირდებიან. ქვემო ხვითის კოლმეურნეობის მერგოლურმა თამარ მეგრელიშვილმა მეჭარხლე სტახანოველთა რაიონულ შეკრებაზე პირობა დასდო, რომ ჰექტარზე 1.000 ცენტნერ ჭარხალს მოიყვანს. ასეთივე ვალდებულება იკისრა სოფელ ერგნეთის კოლმეურნეობის მერგოლურმა თ. კასრაძემ.

კოლმეურნეობებში მალე გაჩაღდება შაქრის ჭარხლის თესვა.

**შ. ჩუბინიძე**
„კომუნისტის" საკუთარი კორესპონდენტი

## მეტი ყურადღება ციტრუსებისათვის ნიადაგის მომზადებას

**ბათუმი,** („კომუნისტის" საკუთარი კორესპონდენტისაგან). ძლიერი შრომითი აღმავლობა გამოიწვია სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1946 წლის 16 თებერვლის დადგენილებამ—„საქართველოს სს რესპუბლიკაში ციტრუსოვანი კულტურების შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ". კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში და კოლმეურნეთა საკარმიდამო ნაკვეთებზე დაიწყო ენერგიული მუშაობა ციტრუსოვანი კულტურების გასაშენებლად ნიადაგის მომზადებისათვის.

ციტრუსოვან კულტურათა ახალი პლანტაციების გასაშენებლად აჭარის ასს რესპუბლიკაში წელს დამატებით გამოიყო 107,4 ჰექტარი მიწა. ქობულეთის რაიონში ციტრუსები დამატებით გაშენდება 64,6 ჰექტარზე, ხოლო ბათუმის რაიონში—42,8 ჰექტარზე. ასობით ძირი ციტრუსი დაირგვება კოლმეურნეთა საკარმიდამო ნაკვეთებზე.

წელს გათვალისწინებულია დაირგოს 102 ათასი ძირი ლიმონი, ფორთოხალი და მანდარინი. ლიმონი უნდა დაირგოს 75.600 ძირი, უმთავრესად „ახალი ქართული" და „მეიერის" ჯიშისა, ფორთოხალი—16 ათასი ძირი, უმეტესად „ვაშინგტონ-ნაველის" ჯიშისა, ხოლო მანდარინი—10.400 ძირი.

სანერგეებში უკვე გამოყოფილია ლიმონის, ფორთოხლისა და მანდარინის 169.800-მდე სტანდარტული ნერგი.

ქობულეთის რაიონის ციხისძირის საბჭოთა მეურნეობაში მოეწყო ციტრუსოვანი კულტურების სანიმუშო სახელმწიფო სანერგე, რომელიც 33,5 ჰექტარზე აშენებს 30 სახის სუბტროპიკულ მცენარეს და უახლოეს ხანში მოგვაწოდებს საუკეთესო ჯიშის ნერგებს. აქ წელს უკვე გამოყვანილია 22.700 ძირი ნერგი. 20 მარტიდან სანერგემ გამოყვანილი ჯიშიანი ნერგების პირველი პარტია გაუგზავნა საქართველოს სს რესპუბლიკის მეციტრუსე კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს ახალი პლანტაციების გასაშენებლად.

ბათუმის რაიონში ციტრუსოვან კულტურათა ფართობის გასადიდებლად შესწავლილია ნიადაგი 19 კოლმეურნეობაში.

ციტრუსოვანი კულტურებისათვის ნიადაგის დროულად მომზადებას ზოგან ყურადღებას არ აქცევენ. ურეხის სასოფლო საბჭოს კოლმეურნეობას „წითელ პარტიზანს" 25 მარტამდე 1.500 ორმოს ნაცვლად მხოლოდ 400 ორმო ჰქონდა მომზადებული. კიროვის სახელობის კოლმეურნეობას ორმოების მომზადების დავალება შესრულებული აქვს მხოლოდ 50 პროცენტით. სოფელ ორთაბათუმის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში 1.000 ძირი ციტრუსი უნდა გააშენონ, მაგრამ 25 მარტისათვის ნიადაგის მოსამზადებლად მუშაობაც არ ჰქონდათ დაწყებული. იმავე სოფლის ტელმანის სახელობის კოლმეურნეობაში ციტრუსოვანთა ახალი პლანტაციების გასაშენებლად ნიადაგის მომზადების გეგმა 25 მარტისათვის მხოლოდ 10 პროცენტით იყო შესრულებული. ამ საქმეში ლენინის სახელობის და კაპანდიბის სასოფლო საბჭოს კოლმეურნეობებიც ჩამორჩნენ.

საჭიროა გადამჭრელი ზომები მივიღოთ ამ ჩამორჩენის გამოსასწორებლად, უზრუნველვყოთ ნიადაგის დროულად დამუშავება და ციტრუსოვანთა ჯიშიანი ნერგების გაშენება აგროწესებით გათვალისწინებულ ვადებში.

**კ. რუსიშვილი**

## გამოვასწოროთ ნაკლოვანებები

გასულ წელს 25 მარტისათვის ახმეტის რაიონში მოხნული იყო 614 ჰექტარი, ხოლო დათესილი—91. წელს ამავე რიცხვისათვის მოხნულია 2.534 ჰექტარი, ხოლო დათესილი—1.079 ჰექტარი. ეს ნიშნავს, რომ საერთოდ რაიონი წელს უკეთესად მოემზადა თესვისათვის, ვიდრე შარშან, მაგრამ ნაკლოვანებებს მაინც აქვს ადგილი. მაგალითად, ზემო ხოდაშენის ბერიას სახელობის კოლმეურნეობას (თავმჯდომარე პ. მორჩაძე) აკლია 39,5 ცენტნერი თესლი, არაშენდის ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობას (თავმჯდომარე ი. ბურკაშვილი) — 48 ცენტნერი, ახმეტის მარქსის სახელობის კოლმეურნეობას (თავმჯდომარე ბ. გომელაური)—64 ცენტნერი. აღნიშნულ კოლმეურნეობათა ხელმძღვანელები, როგორც სჩანს, არ ითვალისწინებენ ხვნა-თესვის დაწესებულ ვადებში ჩატარების უდიდეს მნიშვნელობას.

ჩამორჩენაა მინდვრად ნაკელის გატანაშიც. 6.000 ტონის ნაცვლად გატანილია 4.000 ტონა. ნაკელი სრულიად არ გაუტანიათ ახალდაბის ტელმანის (თავმჯდომარე კ. ზასეიშვილი), კოლოთის ჩარკვიანის (თავმჯდომარე ა. ჟანგირაშვილი), ხორხელის ლესელიძის (თავმჯდომარე ნ. იმერლიშვილი), ახაშნის კალინინის (თავმჯდომარე გ. ღადანაშვილი) სახელობის კოლმეურნეობებს.

მოუგვარებელია თავთან ბრძოლა. შარშან 1.070 ჰექტარზე ჩატარდა წამლობა, წელს კი—770 ჰექტარზე.

სუსტად მუშაობს ახმეტის მტს-ი (დირექტორი ვ. გამყრელიძე), შესაკეთებელია ერთი ტრაქტორი, დაწყებული არ არის კომბაინების რემონტი, ჭიანურდება მოძრავი სახელოსნოს მოწყობა, აკლიათ სათადარიგო ნაწილები. მეექვსე სატრაქტორო ბრიგადის (ხელმძღვანელი კ. უთურგაიძე) მანქანები ხშირად სცდება. ამაში ზოგჯერ კოლმეურნეობათა თავმჯდომარეებიც არიან დამნაშავენი. მაგალითად, მატნის მახარაძისა და ქისტაურის კალინინის სახელობის კოლმეურნეობებს დროზე არ გამოუყვიათ ტრაქტორით მოსახნავი მიწები.

ნაკლოვანებები სასწრაფოდ გამოვასწოროთ, ხვნა-თესვა ჩავატაროთ დროულად და მაღალხარისხოვნად.

**კ. იარალოვი**
„კომუნისტის" საკუთარი კორესპონდენტი

# ანაპელთა საბრძოლო გზა

ოთხი წელი შეუსრულდა ანაპის 414-ე მსროლელ დივიზიას.

დივიზიის მიერ განვლილი გზა ჭეშმარიტად იყო ქართველ მეომართა საბრძოლო დიდებისა და გამარჯვების გზა.

4 წლის წინათ, როდესაც გამხეცებული ჰიტლერელები ამიერკავკასიის რესპუბლიკებს ცეცხლითა და მახვილით უახლოვდებოდნენ, საბჭოთა დაღესტნის უძველეს ქალაქ ბუინაკსკში ყალიბდებოდა ახალი ქართული დივიზია. აქ უნდა აესხათ იარაღი ქართველებს, რათა თავიანთი მკერდით გადაეღობათ გზა ვერაგი მტრისათვის.

1942 წლის ოქტომბრის ბოლო რიცხვებში მრისხანე საფრთხე დაემუქრა ქალაქ ძაუჯიკაუს (კავკავს). კავკასიონის მთის ძირში მოსული მტერი ვარაუდობდა სატანკო ნახტომით ხელთ ეგდო ქალაქი, დაეკავებინა საქართველოს სამხედრო გზა, დაეპყრო ამიერკავკასიის აყვავებული რესპუბლიკები. თერგის ნაპირებზე თავდაცვაში მყოფი ქართველები უდიდესი მღელვარებით გასცქეროდნენ კავკასიის მთის კალთებს, საიდანაც განუწყვეტლივ ისმოდა ბრძოლების ქუხილი.

ხმა გავარდა კავკასიის დაცვის ხელმძღვანელობისათვის დიდ სტალინს ლავრენტი ბერია გამოუგზავნიაო. ამ ცნობამ უსაზღვრო აღფრთოვანება გამოიწვია დივიზიის პირად შემადგენლობაში. დაიწყო მზადება შეტევისათვის სტანიცა იშჩერსკაიას უბანზე.

შენაერთის ერთ ბატალიონს, რომელსაც მაშინ კაპიტანი ვლადიმერ დარჩია მეთაურობდა, მიეცა საბრძოლო ამოცანა: მოეხდინა მტრის დაზვერვა ბრძოლით, შეჭრილიყო მისი თავდაცვის სიღრმეში, გამოემჟღავნებინა მოწინააღმდეგის საცეცხლე წერტები. ბატალიონმა ეს ამოცანა წარმატებით შეასრულა. მისმა პირადმა შემადგენლობამ სარდლობის მადლობა დაიმსახურა, რამდენიმე კაცი წარდგენილ იქნა მთავრობის ჯილდოზე.

მალე მთელი დივიზია ჩაება მოზდოკის განთავისუფლებისათვის ბრძოლაში. გერმანელებს ძლიერ გამაგრებული თავდაცვა ჰქონდათ ხუტორ თამაზოვის უბანზე, რომელიც მოზდოკის გასაღებად ითვლებოდა. ამ უბანზე სასტიკმა სისხლისმღვრელმა ბრძოლამ ხუთ დღეზე მეტ ხანს გასტანა. ბრძოლებში განსაკუთრებით ისახელეს თავი მაიორების მეძმარიაშვილის, შავლიაშვილის ქვეითებმა და ქართველმა არტილერისტებმა. 1943 წლის 5 იანვარს დივიზია შევიდა მოზდოკში. განთავისუფლებული ქალაქის მოსახლეობამ მხურვალე შეხვედრა მოუწყო ქართველ მეომრებს. მოზდოკის პირველ კომენდანტად დაინიშნა მაიორი დავით მაჭარაძე.

მცირე ხნით შესვენების შემდეგ ამიერკავკასიის ფრონტის ჩრდილოეთის ჯგუფის სარდლობის ბრძანებით დივიზია კვლავ ჩაება ჩვენი ჯარების მიწოლით უკუქცეული მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში. ამჯერად მას დავალებული ჰქონდა დაეცვა შემტევი ნაწილების ფლანგები. ქართველმა მეომრებმა ბრძოლით გაიარეს 700 კილომეტრზე მეტი, მონაწილეობა მიიღეს ჩრდილოეთ-კავკასიისა და ყუბანის მთელი რიგი დასახლებული პუნქტების განთავისუფლებაში.

მოწინააღმდეგის უწესრიგოდ დახეულმა ჯარებმა თავი შეაფარეს მდინარე ყუბანისა და პრატოკის ლელიანებს. ჩვენი დივიზია მოქმედებდა კალაბატკის რაიონში. აქ ბრძოლა უაღრესად რთულ პირობებში მოგვიხდა. უგზოობამ და ხანგრძლივმა წვიმებმა გააძნელეს როგორც არტილერიის, ისე სხვა მძიმე ტექნიკის წინ წაწევა. უამინდობამ თითქმის შეაჩერა ჩვენი ავიაციის მოქმედება. ამ დროს ჩვენი დივიზიის უბანზე გერმანელებმა გადმოისროლეს ტანკები და კავალერია.

— არც ერთი ნაბიჯი უკან!—

იმეორებდა თვითეული მებრძოლი და სალ კლდესავით იდგა თავდაცვის ზღუდეზე. ბრძოლამ გააფთრებული ხასიათი მიიღო. დასახლებული პუნქტები ხშირად დღეში ორჯერ გადადიოდა ხელიდან ხელში. გამარჯვება მაინც ჩვენ დაგვრჩა. მიიზიდა რა თავისკენ მტრის ჭარბი ძალები, დივიზიამ ამით საშუალება მისცა ჩვენს სხვა შემტევ ნაწილებს ზურგიდან დაერტყათ ჰიტლერელებისათვის და მოესპოთ ისინი.

კალაბატკის ბრძოლებში უმაგალითო თავგანწირვა გამოიჩინეს ნაწილის პარტორგმა ვიქტორ ჯაფარიძემ, ბატალიონის მეთაურმა ავთანდილ კვარაცხელიამ, სახელმწიფო უშიშროების უფროსმა ლეიტენანტმა არტაშ ქოვლოევმა, ბატალიონის მეთაურის მოადგილემ პოლიტნაწილში არჩილ მაჩხანელმა, რომლებიც გმირის სიკვდილით დაეცნენ ბრძოლის ველზე. აქვე გმირულად დაიღუპა მებრძოლთა საყვარელი მეგობარი, ახალგაზრდა ნიჭიერი პოეტი სანდრო ეულენტი.

თავიანთი უშიშრობით და მედგრობით თავი გამოიჩინეს პოდპოლკოვნიკმა ს. ბერუჩაშვილმა, კაპიტანმა შალვა დავითულიანმა, მაიორმა ამბერკი ლორიამ, უფროსმა ლეიტენანტმა აბდულ წულუკიძემ, ლეიტენანტმა სერგო ჩხეიძემ, კაპიტანმა გიორგი კინწურაშვილმა და მრავალმა სხვამ. სარდლობამ ისინი დააჯილდოვა ორდენებითა და მედლებით.

ბრძოლები ჯერ კიდევ წინ იყო. ტამანის ნახევარკუნძული გერმანელთა ჩექმის ქვეშ გმინავდა. ჰიტლერელები განსაკუთრებული გააფთრებით იცავდნენ ტამანს. ნოვოროსიისკ-კრიმსკაია-ტემრიუკის ხაზზე თავდაცვისათვის ისედაც ხელსაყრელი ადგილები—მთაგრეხილები, მაღლობები, ლელიანები—მათ გაამაგრეს ძლიერი თავდაცვითი ნაგებობებით. გერმანელთა სარდლობა ტრაბახობდა—ყუბანში ჩვენი თავდაცვა მიუდგომელიაო. ამ თავდაცვას მათ „ცისფერი ხაზი" უწოდეს. მაგრამ ფაშისტები ანგარიშში მოტყუვდნენ. „ცისფერმა ხაზმა" ვერ იხსნა გერმანელები დამარცხებისაგან. წითელი არმიის სახელოვანმა მეომრებმა გამანადგურებელი დარტყმები აგემეს ჰიტლერელებს ჯერ კრიმსკაია-ტემრიუკის, ხოლო შემდეგ ნოვოროსიისკის რაიონში.

ჩვენმა დივიზიამ მონაწილეობა მიიღო ნოვოროსიისკის განთავისუფლებაში. პოლკოვნიკ გორგიშვილის პოლკი ფლანგიდან მხარს უჭერდა წითელი არმიის მოიერიშე ნაწილებს ცემენტის ქარხნის რაიონში.

დაიწყო ქალაქ ანაპისათვის გადამწყვეტი ბრძოლა. ქალაქში ერთი პირველთაგანი შეიჭრა ჩვენი დივიზია, რომელსაც უმაღლესი მთავარსარდლის ამხანაგ სტალინის 1943 წლის 9 ოქტომბრის ბრძანებით მადლობა გამოეცხადა და „ანაპის" სახელწოდება მიენიჭა.

ანაპიდან განდევნის შემდეგაც გერმანელები ებღაუჭებოდნენ ყოველ მაღლობს, ყოველ ბექობს, ნაღმავდნენ გზებსა და ბილიკებს. ჩვენმა ნაწილებმა გააძლიერეს მოწინააღმდეგეზე დაწოლა. მათ შორის მოწინავეთა რიგებში მიდიოდა ანაპის დივიზია. მან ბრძოლით გაათავისუფლა სუვოროვო-ჩერკესკი, გოსტაგაიკა, მონაწილეობა მიიღო უტაშის განთავისუფლებაში და გავიდა მდინარე ძველი ყუბანის ლელიანებში.

ჩვენი მეომრების წინაშე აღიმართა გირლიანის მთა, რომელიც გერმანელებს ძლიერ გაემაგრებინათ. სამი დღის სისხლისმღვრელი ბრძოლის შემდეგ ქართველები პირველნი აიჭრნენ გირლიანის მთაზე და აღმართეს გამარჯვების წითელი დროშა. ამით გაიხსნა გზა მტრის თავდაცვის უკანასკნელი დასაყრდენი პუნქტისაკენ ტამანის ნახევარკუნძულზე — სტანიცა ვიშესტებლიევსკაიასაკენ. მეორე დღეს დივიზიის ძირითადი ნაწილები უკვე გასცდნენ ამ სტანიცას და გავიდნენ ზღვის სანაპიროზე. საბოლოოდ განთავისუფლდა ტამანის ნახევარკუნძული.

ფრონტის ჯარები გავიდნენ ქერჩის სრუტის ნაპირებზე. წინ გამოჩნდა მშობლიური ყირიმი, რომელიც შველას ითხოვდა.

ანაპის 414-ე ქართული მსროლელი დივიზიის ბრძოლა ქერჩის ნახევარკუნძულზე და სევასტოპოლის მისადგომებთან აღსავსეა უმაგალითო გმირობითა და სოციალისტური სამშობლოსადმი თავდადების შესანიშნავი მაგალითებით.

1944 წლის 10 აპრილს მიღებულ იქნა ბრძანება გადამწყვეტ შეტევაზე გადასვლის შესახებ. ქართველმა მეომრებმა თავიანთ უბნებზე მიაწყდ-მოლეწეს მტრის სიმაგრეები, გაჟლიტეს ასობით ჰიტლერელი და სწრაფი იერიშით ფეხდაფეხ დაედევნენ გონდაკარგულ მოწინააღმდეგეს. განთავისუფლდა ქერჩის ნახევარკუნძული. წითელი არმიის ნაწილები კვალდაკვალ მისდევდნენ მტერს. აი სევასტოპოლიც. დივიზიის მეომრები ემზადებოდნენ გმირი ქალაქის გასათავისუფლებლად.

7 მაისს დილით, მძლავრი საარტილერიო მომზადების შემდეგ, ქართველი მეომრები, მრავალეროვან საბჭოთა კავშირის ხალხთა შვილების მხარდამხარ იერიშზე გადავიდნენ. სასტიკი, სისხლისმღვრელი ბრძოლების შემდეგ ანაპელებმა გაათავისუფლეს კოლმეურნეობა „ბოლშევიკი", მე-10 საბჭოთა მეურნეობა და 9 მაისს შეიჭრნენ სევასტოპოლის გარეუბნებში. თავზარდაცემული ჰიტლერელები გარბოდნენ ხერსონესის კონცხისაკენ, მაგრამ საბჭოთა არტილერისტებისა და მეტყვიამფრქვევეთა ცეცხლი მუსრს ავლებდა მათ. სევასტოპოლი განთავისუფლდა.

ყირიმისათვის ბრძოლებში თავიანთი გმირობითა და უშიშროებით თავი ისახელეს ზემდეგმა სერგო ჩხაიძემ, უფროსმა სერჟანტმა გრიგოლ სამხარაძემ, სერჟანტმა იოდისმა და წითელარმიელმა ვლადიმერ პაპიძემ. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით მათ მიენიჭათ საბჭოთა კავშირის გმირის წოდება.

ასობით ქართველი მებრძოლი, სერჟანტი და ოფიცერი დაჯილდოებულ იქნა ორდენებითა და მედლებით.

სარდლობის საბრძოლო დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისათვის დივიზია დაჯილდოებულ იქნა წითელი დროშის ორდენით. მას გადაეცა საბრძოლო დროშა. დივიზიაში შემავალ ორ პოლკს უმაღლესი მთავარსარდლის ამხანაგ სტალინის ბრძანებით მიენიჭა „სევასტოპოლის" სახელწოდება. შენაერთის პირადმა შემადგენლობამ სამშობლოს ასეთ მაღალ შეფასებას თავისი საბრძოლო ტრადიციებისადმი ერთგულების წმიდა ფიცით უპასუხა.

ჩვენ ყოველთვის პატივისცემითა და სიყვარულით ვიგონებთ ქართველი ხალხის იმ სახელოვან შვილებს, რომლებიც დაეცნენ საბჭოთა სამშობლოს თავისუფლების, დამოუკიდებლობისა და ღირსებისათვის ბრძოლაში. მათ შორის არის წითელი არმიის ცხრა ქართველი მეომარი, რომლებიც, ცხრა ძმა ხერხეულიძეთა მსგავსად, მტერს ზედ შეაკვდნენ, არც ერთი ნაბიჯი უკან არ დაუხევიათ. ეს მოხდა 1944 წლის 8 მაისს, საპუნ-გორას იერიშის დროს სევასტოპოლის მისადგომებთან. უფროს ლეიტენანტ ბოსიტაშვილის ასეული შეიჭრა გერმანელთა თავდაცვის სიღრმეში. მტერმა მოინდომა ასეულის გარშემორტყმა და მოსპობა. გაცხარებულ ბრძოლაში მეთაურმა ვერ შენიშნა, თუ როგორ დასცილდა თავის ოცეულებს, მას მხარდამხარ მიჰყვებოდა მხოლოდ რვა მეომარი, რომლებიც ხელჩართული ბრძოლით მიიწევდნენ წინ. ბოსიტაშვილმა ზედიზედ რევოლვერით დახვრიტა 6 გერმანელი. როდესაც ტყვია გამოელია, შაშხანის კონდახით დატრიალდა. ამ დროს მტრის ტყვიამფრქვევის ჯერმა განგმირა იგი. უთანასწორო ბრძოლაში ბოსიტაშვილთან ერთად გმირის სიკვდილით დაეცნენ უფროსი ლეიტენანტი გალაქტიონ ვადაჭკორია, ლეიტენანტი პოლიკარპე ლორჩოშვილი, ზემდეგი გივი შვანგირაძე, სნაიპერი მ. ნანიტაშვილი, მეტყვიამფრქვევე შენგელია, მსროლელები პ. აკობია, მ. თათარაშვილი და სიჭინავა.

ბრძოლის შემდეგ ამ ცხრა გმირი ქართველი მეომრის გარშემო მტრის 50-ზე მეტი გვამი ნახეს.

წითელდროშოვანმა ანაპელებმა საბჭოთა ქვეყნის მოძმე ხალხთა შვილებთან ერთად ღირსეულად შეასრულეს თავიანთი პატრიოტული მოვალეობა საბჭოთა სამშობლოს, დიდი სტალინის, მთელი ჩვენი ქვეყნის წინაშე.

გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ სისხლისმღვრელ ბრძოლებში მათ ხელმძღვანელობდნენ საუკეთესო მეთაურები და პოლიტმუშაკები—ქართველი ხალხის ღირსეული შვილები: გენერალ-მაიორი გიორგი ყურაშვილი, გენერალ-მაიორი ვალერიან ძაბახიძე, პოლკოვნიკი ვარლამ ჯანჯღავა, პოლკოვნიკი სტეფანე ბერუჩაშვილი და სხვა გამოჩენილი ოფიცრები.

მშვიდობიანი მშენებლობის პერიოდში წითელდროშოვანი ანაპელები ყველაფერს გააკეთებენ სამამულო ომში შეძენილი გამოცდილების საფუძველზე თავიანთი საბრძოლო ოსტატობის სრულყოფისათვის, ჩვენი საყვარელი საბჭოთა სამშობლოს სამხედრო-ეკონომიური ძლიერების შემდგომი განმტკიცების უზრუნველსაყოფად.

**მაიორი არჩილ კოკილაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ქალაქი ზურმუხტის ფარჩებში

შავი ზღვა ღელავს...

ბობოქარი ტალღები სოხუმის სანაპიროს ჯებირებს აწყდებიან, მარგალიტის მძივებად იმსხვრევიან და ზღვის უდაბურებაში იკარგებიან. ზურმუხტის ფარჩებში ჩაფლულ ქალაქს დღენიადაგ ესმის ზვირთების გუგუნი. ტალღების წყება თითქოს ტაშს უკრავს აქაურ მჩქეფარე ცხოვრებას, შეუცნობელი ენით მოგვითხრობს წარსულსა და აწმყოზე, ქალაქის დაბადებაზე, მის განახლებაზე.

შავი ზღვა უტყვი მოწამეა მრავალტანჯული კოლხებისა და აფხაზი ხალხის ისტორიისა. ამ ზღვით მოვიდა მედეას სამშობლოში იაზონი არგონავტებით და ოქროს საწმისი წარიტაცა. ამ ზღვის სანაპიროთი მოიკვლევდნენ გზას აფხაზეთისაკენ რომაელები, თურქები, სხვის მიწა-წყალს დახარბებული ყველა ჯურის ურდოები.

შავი ზღვის სანაპიროებიდან ხელისგულივით მოსჩანს ძველის ძველი ციხე „სატანჯიო“. იგი კუშტად გადმოჰყურებს აფხაზეთ-სამეგრელოს მინდორ-ველებს; მოწამეა ოსმალეთსა და ეგვიპტეში გასაყიდად გამზადებულ ქალ-ვაჟთა წამებისა; მას არაერთხელ სმენია დატანჯული დედების შეცხადება და ზარი...

აფხაზი გლეხები ზიზღით იგონებენ წყეულ წარსულს, როცა თურქებმა იქ გაავრცელეს ტყვეებით ვაჭრობა, როცა ანატოლიისა და სტამბოლის ბაზრები მეგრელი და აფხაზი გლეხებით ვაჭრობის ცენტრებად იყვნენ გადაქცეულნი.

თურქები ადამიანებით ვაჭრობას როდი სჯერდებოდნენ. ისინი ანგრევდნენ და აჩანაგებდნენ კულტურის ძეგლებს, ცეცხლს უკიდებდნენ სახლებს, აწიოკებდნენ მშვიდობიან მოსახლეობას. მათი აღვირახსნილი თარეშის წლებში სხვადასხვა დროს ორჯერ გადაიწვა ქალაქი სოხუმი.

აფხაზეთს ახსოვს უფრო დიდი უბედურებაც. ეს არის აფხაზი ხალხის ძალდატანებით გადასახლება თურქეთში, რაც ისტორიაში ცნობილია „მაჰაჯირობის“ სახელწოდებით. სტოვებდა რა თავის დაფერფლილ ბინას, გაჩანაგებულ კარმიდამოს, მწარედ მოსთქვამდა მაჰაჯირი. მისი სულიერი განწყობილება კარგად გამოთქვა აფხაზმა პოეტმა:

„აფხაზეთო გვაპატიე,
ჩვენ გშორდებით დარდით,
ოდესმე ხომ გაბრწყინდება
შენი მზე და ხედი,
შენ იხარებ კეთილ გულით,
დამშვიდდები ლაღი
და ქამთასვლას მოუყვევი
ჩვენი მწვავე ბედი“.

* * *

ამ რამდენიმე წლის წინათაც წალეკას დაემუქრნენ აყვავებულ ზღვისპირეთს გერმანელი ავაზაკები. სვასტიკიანმა ძერებმა მაშინ მზიური აფხაზეთის ცა გადასერეს. სოხუმის ქუჩებში ბინდი ჩამოწოლილიყო. დენთის სუნი ასდიოდა ყვავილთა გაზონებს.

ნავსადგურს მომდგარი შენიღბული ხომალდები სიგნალს არ იძლეოდნენ. ჩუმად მიაბიჯებდა ასფალტზე სოხუმელი. შეღამების შემდეგ ასანთსაც არ უკიდებდა ქალაქის მკვიდრი. საშიში იყო... მას ციდან და ზღვიდან ვერაგი მტერი უთვალთვალებდა, მტერი ზვერავდა მის კარმიდამოს.

გარინდებული იდგა ქარიშხლის მომლოდინე ქალაქი. ერთი შეხედვით თითქოს შემწყდარიყო მისი მაჯისცემა, თითქოს ჩამკვდარიყო სიცოცხლე...

მაგრამ არა!

გამოჩნდებოდა თუ არა ცის ჰორიზონტზე მტრის თვითმფრინავი, ზღვა და ხმელეთი ერთპირად დაიქუხებდა. ბაღებიდან, სკვერებიდან და მოედნებიდან ცას შეასკდებოდა ტყვიების დღლგმა. ცერებზე შემართულ ქალაქს ქუხილით ეხმაურებოდნენ ტრაპეციისა და ჩერნიავსკის გორები. ცის კაბადონზე აიჭრებოდნენ ავიაგამანადგურებელთა გუნდები. ტყვიის გამუდმებულ წვიმასა და პროჟექტორების თვალისმომჭრელ სხივთა ბადეში გაველული თავდამსხმელი ხან თავდაღმა ეშვებოდა ხანძარმოდებული, ხანაც გზააბნეულ-აბნეული უკან გარბოდა.

ასე იბრძოდა სოხუმი, ასე უხვდებოდა კარზე მომდგარ მუხანათს, ასე სჭედავდნენ სოხუმელები თავიანთ გამარჯვებას.

და გაიმარჯვეს!

შავი ზღვა ღელავს; ტალღები თითქოს ტაშს უკრავენ გამარჯვებულ ხალხს, აყვავებულ ქალაქს.

სანაპირო ხეივნებზე ნელა შრიალებენ კვიპაროსები. მოასფალტებულ ქუჩებზე მიჯრით ჩარიგებულან ფრთაგაშლილი პალმები, ევკალიპტები, მაგნოლიები, მიმოზები, ბანანები... განიერ ქუჩებს გასდევენ ყვავილთა გაზონები. ქალაქი დაუშვენებიათ უამრავ ბაღებს, სკვერებსა და პარკებს. ქალაქის გულზე აღმართულან სამ და ოთხსართულიანი სახლები. ზღვის უბე შემოურკალავთ რკინაბეტონის ჯებირებს.

ლამაზ ნავსაყუდელში მშვიდად და ამაყად შემოდის თბომავალი „უკრაინა“. მშვიდადვე გადის იგი ქალაქიდან და უშიშრად მიაპობს ტალღებს. მას დღეს აღარ დასდევენ ზღვის მეკობრეები...

კვლავ ჩვეული სიხალისით ცოცხლობს სოხუმი. „დინამოს“ წყალჯომარდობის სადგურის დარბაზებში და მოედნებზე დღისით თუ საღამოობით ახალგაზრდობა იკრიბება სავარჯიშოდ, საცეკვაოდ, სასეირნოდ, კონცერტების მოსასმენად.

ქალაქის მშვენებაა სტალინის სახელობის სკვერი, ლენინისა და რუსთაველის სახელობის ბაღები. მწვანე დეკორატიული ხეები შარიშურობენ აქ ზამთარ-ზაფხულ. ზამთრის დღეებშიც იფრქვევა აქ ყვავილთა საამო სურნელება. დღისით მცხუნვარე მზე და ღამით ილიჩის ელნათურები დაჭქათქათებენ ქალაქს.

კულტურისა და ჯანმრთელობის კერად გადაიქცა სოხუმი. დღეს იგი განთქმული საკურორტო ქალაქია. სოხუმში ყველა მშრომელს შეუძლია დაისვენოს და ჯანმრთელობა აღიდგინოს. მრავალი კეთილმოწყობილი სანატორიუმი და დასასვენებელი სახლი არის ამჟამად ქალაქში. მათ შორის ყურადღებას იპყრობს ორჯონიკიძის სახელობის დასასვენებელი სახლი.

ქალაქს აცოცხლებს მოსწავლე ახალგაზრდობის ჟრიამული. ათი ათასზე მეტი მოწაფე, სტუდენტი და პროფესორ-მასწავლებელი ჩაივლის ყოველ დილით სოხუმის ქუჩებში. ქალაქში იზრდებიან მომავალი პედაგოგები, მედიცინის დები, მუსიკოსები, ინდუსტრიის კადრები. სოხუმის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი წელს მეთერთმეტედ მისცემს სახელმწიფოს კვალიფიციურ კადრებს.

დავაჟკაცდა აფხაზეთის მეცნიერება, ლიტერატურა და ხელოვნება. სახელგანთქმული საცდელ-სანიმუშო ბოტანიკური ბაღის ცენტრში აღმართულია ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების სრულიად საკავშირო სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის ფილიალის ოთხსართულიანი შენობა. იქ დიდი მეცნიერული მუშაობა სწარმოებს.

სოხუმის სახელმწიფო თეატრმა ამ უკანასკნელ წლებში მრავალი ახალი დადგმა უჩვენა მაყურებელს. მწერლებმა, პოეტებმა და მხატვრებმა მთელი რიგი ახალი საინტერესო ნაწარმოებები შექმნეს. იზრდებიან ახალგაზრდა შემოქმედებითი ძალები.

სოხუმში ინდუსტრიული მაჯისცემაა. თამბაქოსა და საკონდიტრო ფაბრიკები, ტყავფეხსაცმლის კომბინატი, საკონსერვო და თევზის ქარხნები დიდძალ მაღალხარისხოვან პროდუქციას აწვდიან სახელმწიფოს.

მოკლე ხანში აქ ბევრი რამ გაკეთდა. მომავალში უფრო მეტის გაკეთებას ფიქრობენ სოხუმელები. მალე მწყობრში ჩადგება ახალი ჰიდროელექტროსადგური. მიმდინარე წელს აშენდება ახალი თეატრი, სახელმწიფო ფილარმონიის საკონცერტო დარბაზი. განზრახულია ორდარბაზიანი საზამთრო კინოთეატრის აგება. მალე სოხუმელებს საუკეთესო სასმელი წყაროს წყალი ექნებათ.

დიდი ბელადის ამხანაგ სტალინის ისტორიული სიტყვით აღფრთოვანებული აფხაზეთის დედაქალაქის მშრომელები გაორკეცებული ენერგიით მუშაობენ საწარმოებსა და დაწესებულებებში. ფაბრიკებმა და ქარხნებმა წლის პირველი თვეები მაღალი საწარმოო მაჩვენებლებით დაამთავრეს. მრავალმა მუშამ შრომის ახალი რეკორდი დაამყარა.

გაზაფხულის თბილი ამინდები დგება ზღვისპირეთში. სანაპირო ქუჩებზე მიმოზები ჰყვავიან. ბაღებში მუშაობა გაუჩაღებიათ. ხეებს სხლავენ, ახალ ნერგებს რგავენ, ისედაც ლამაზ მოედნებს კიდევ უფრო ამშვენიერებენ.

ლამაზია სოხუმი. კიდევ უფრო ლამაზი, კიდევ უფრო მიმზიდველი გახდება იგი ახლო მომავალში.

ა. ნინუა
ე. უბილავა

# კოსტა ხეთაგუროვი
## (გარდაცვალების 40 წლისთავი)

ოსი ხალხის სახელოვანი შვილი კოსტა ხეთაგუროვი დაიბადა 1859 წელს, ჩრდილოეთ ოსეთის აულ ნარში. დედა პოეტს ადრე მოუკვდა. მამამ პატარა კოსტა გასაზრდელად მიაბარა თავის ნათესავს. 1872 წელს იგი შეიყვანეს კავკავის რეალურ სასწავლებელში. შემდეგ სწავლობდა სტავროპოლის გიმნაზიაში. აქ მან მხატვრობის (ფერწერის) ნიჭი გამოიჩინა. აქვე დასწერა პირველი ლექსები რუსულ ენაზე. 1879 წელს გაემგზავრა პეტერბურგს სამხატვრო აკადემიაში, მაგრამ უსახსრობის გამო იძულებული გახდა სამშობლოში დაბრუნებულიყო და საზოგადოებრივ-ლიტერატურულ მუშაობას შეუდგა.

პეტერბურგში, სამხატვრო აკადემიაში ყოფნის დროს, კოსტა ხეთაგუროვი გაეცნო რუსეთის რევოლუციურ-დემოკრატიულ აზროვნებას. აქ შეისწავლა ბელინსკის, დობროლუბოვისა და ჩერნიშევსკის ნაწერები, რამაც დიდი გავლენა მოახდინა მისი მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაზე. კოსტა განიმსჭვალა თვითმპყრობელობისადმი უდიდესი სიძულვილით. მისი რევოლუციურ-პროგრესული მოღვაწეობა შეუმჩნეველი არ დარჩენიათ თვითმპყრობელობის აგენტებს. მებრძოლი პოეტი ორჯერ გადაასახლეს თავისი სამშობლოდან. გადასახლებაში იგი დაავადმყოფდა. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ მას დიდხანს აღარ უცოცხლნია. გარდაიცვალა სოფელ გეორგიევსკო-ოსეტინსკოეში 1906 წლის 1 აპრილს. აქედან პოეტის ცხედარი გადაასვენეს და დაკრძალეს კავკავში. დასაფლავებაზე მონაწილეობა მიიღეს კავკასიის ყველა ერის წარმომადგენლებმა. საფლავზე წარმოთქმულ იქნა სიტყვები ოსურ, რუსულ, ქართულ და სომხურ ენებზე.

კოსტა ხეთაგუროვი სწერდა ორ ენაზე: რუსულად და ოსურად.

პატრიოტიზმი კოსტა ხეთაგუროვის შემოქმედების ერთ-ერთ ძირითად მოტივს წარმოადგენს. ლექსში—„ტირილი სამშობლო მთებზე“ პოეტი ამბობდა: „ხელ-ფეხზე დაგვადეს ბორკილი მაგარი, წაბილწეს საყდრები, საფლავის ლოდები. მკვდრები შეგვიგინეს, წაგვართვეს სახლკარი, ბავშვებს და მოხუცებს გვიცემეს როზგებით“. მშობელი ხალხის მწარე აწმყო პოეტის სულში იწვევდა მწუხარებას, მაგრამ იგი სასოწარკვეთილებას არ მისცემია, პირიქით, ხალხში უკეთესი მომავლის რწმენას ნერგავდა. პოეტს სწამდა რევოლუციის გარდუვალობა. იგი მზად იყო სიცოცხლე შეეწირა მისთვის. ლექსში—„ნუ მიყიყინებ“—პოეტი ამბობს: „უკვე წუთები დათვლილია... განგაშიც ისმის, ხიშტის წვერებზე გარიჟრაჟის შუქი ციალებს“.

სამშობლოს სიყვარულით, ღრმა პატრიოტიზმით არის შთაგონებული ხეთაგუროვის ლირიკული ლექსები და პოემები. აღსანიშნავია ლექსი „არ დაიჯერო, არ მახსოვდეს“, სადაც პოეტი ასეთი მგზნებარე სიტყვებით მიმართავს სამშობლოს: „მე ხალხი მიყვარს, თქმა არ უნდა, მიყვარს ქვეყანა, ჩაგრულ-უმწეო და ობლები მე მიყვარს გულით, მაგრამ უფრო მშობლიური—მე ვმალავ განა?—მიყვარს ღარიბი ჩვენი ხალხი, ჩვენი აული!“.

პოეტს სამართლიანად უწოდებენ „მთიელ ღარიბთა მომღერალს“. პოპულარულ ლექსში—„ღარიბის სიმღერა“ ასეთ სტრიქონებს ვხვდებით: „მდიდრებს ლამაზი სახლი აქვთ, მყუდრო და გამოკვალთული, ჩვენს მტირალ ბავშვთ კი ბინად აქვთ შავბნელი გამოქვაბული“.

სოციალურ უთანასწორობას და ამ ნიადაგზე წარმოშობილ კონფლიქტს პოეტმა უძღვნა პოემები: „ვინ ხარ?“ და „სასამართლოს წინაშე“. გამწვავებულ კლასობრივ ბრძოლას პოეტი გვიხატავს თავის ერთ-ერთ უდიდეს ეპიკურ ნაწარმოებში—„ფატიმა“.

კოსტა ხეთაგუროვმა დიდი ხელოვნებით გამოიყენა ფოლკლორი ოსურ ლირიკულ ლექსებსა და, განსაკუთრებით, პოემებში. ოსურ ფოლკლორზეა აგებული პოემები „აფსათი“, „მწყემსი“ და დაუმთავრებელი ავტობიოგრაფიული პოემა „ხეთაგი“. ავტორი ხალხურ სიუჟეტს იყენებს აგრეთვე საუკეთესო პოემაში „სასაფლაოზე“.

კავკასიისა და, კერძოდ, ოსი ხალხის გმირულ ბრძოლას თვითმპყრობელობის წინააღმდეგ მოგვითხრობს ნაწყვეტი პოემისა „მტირალი კლდე“. ნეკრასოვის გავლენით არის დაწერილი სატირული პოემა „ვინ ცხოვრობს მხიარულად“ მასში პოეტი სასტიკად ამხელს ბიუროკრატიზმს, მოხელეების თვითნებობას და მექრთამეობას, სოფლის ბობოლებსა და მუქთახორებს.

კოსტა ხეთაგუროვის შემოქმედებაში განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ერთა შორის ძმობისა და სოლიდარობის იდეა. პოეტმა ბრწყინვალე ლექსები მიუძღვნა რუსეთის გამოჩენილ მწერლებსა და საზოგადო მოღვაწეებს: ლერმონტოვს, ოსტროვსკის, პლეშჩეევს, გრიბოედოვს, ქართველ საზოგადო მოღვაწეს მიხეილ ყიფიანს.

კოსტა ხეთაგუროვი ცნობილია, როგორც პუბლიცისტიც. პუბლიცისტურ წერილებს იგი ათავსებდა რუსულ ჟურნალ-გაზეთებში. ამ წერილებში პოეტი გაბედულად ამხელდა ცარიზმის კოლონიურ პოლიტიკას, მედგრად იბრძოდა მოხელეთა თვითნებობისა და თავად-აზნაურობის ძალადობის წინააღმდეგ.

სახელოვანი პოეტი ფუძემდებელი იყო ოსური ფერწერისა. დიდის ნიჭით და მაღალი ოსტატობით არის შესრულებული მისი სურათები: „მთიელი ქალი მიდის წყალზე“, „ტებერდა“, პავლოვას პორტრეტი.

მთელი თავისი ცხოვრებით და შემოქმედებით კოსტა ხეთაგუროვი მჭიდროდ იყო დაკავშირებული ოს ხალხთან. მისი შემოქმედება უაღრესად ხალხურია. იგი ოსური კლასიკური ლექსთწყობისა და ლიტერატურული ენის შემქმნელია.

კოსტა ხეთაგუროვის შემოქმედებაზე იზრდება და სწავლობს ოსეთის საბჭოთა პოეზია.

თავისი ხანმოკლე, მრავალტანჯული სიცოცხლე კოსტა ხეთაგუროვმა მთლიანად მშრომელი ხალხის საუკეთესო მომავალს შესწირა. მან თავისი წვლილი შეიტანა მშობელი ერის გათვითცნობიერებაში. დღეს მისი სამშობლო ქვეყანა, ლენინ-სტალინის პარტიის ბრძნული ხელმძღვანელობით, ჰყვავის და ბედნიერად ცხოვრობს.

კოსტა ხეთაგუროვის ლექსების ნიმუშები თარგმნილია საბჭოთა კავშირის თითქმის ყველა ხალხთა ენაზე, ხოლო ქართულად გამოცემულია მისი თხზულებების სრული კრებული.

კოსტა ხეთაგუროვის პოეზია ერთნაირად ძვირფასია ჩვენი სამშობლოს ყველა ერისათვის.

ვ. გორგაძე

# მეცნიერება და ტექნიკა

## მოძრაობის მანძილზე გადაცემის გამარტივება

მოძრაობის მანძილზე გადაცემა ტექნიკაში მრავალი საშუალებით ხდება. როდესაც გადასაცემი მანძილი მცირეა, ჩვეულებრივად იყენებენ კბილებიან ბორბალს ან ღვედს, ან კიდევ სხვა საშუალებას. შორ მანძილზე მოძრაობის გადაცემისას კი საჭიროა გამოყენებულ იქნას ეგრეთწოდებული ელექტროლილვები.

კიროვის სახელობის საქართველოს ინდუსტრიული ინსტიტუტის ელექტრომანქანების კათედრის გამგემ გ. მახარაძემ დაამუშავა დიდ მანძილზე მოძრაობის გადაცემის ახალი გამარტივებული სქემა, რაც საშუალებას იძლევა თავიდან ავიცილოთ მანძილზე მოძრაობის გადაცემისას დამატებითი ელექტრომანქანების დადგმა. ამ სქემის მიხედვით მოძრაობის მანძილზე გადაცემისას ხარჯები 35-50 პროცენტით მცირდება. სქემა მოწონებულია სსრ კავშირის ელექტრომრეწველობის სამინისტროს და გამომგონებელთა საკავშირო ბიუროს მიერ.

## ნიადაგის სტაბილიზაცია ცემენტის ხსნარით

წყლით გაჟღენთილ თიხნარიან ნიადაგზე სახლების, ან სხვა ნაგებობების აგება უკანასკნელ ხანებამდე გაძნელებული იყო. ასეთ ნიადაგზე აგებული სახლი რამდენიმე წლის შემდეგ დეფორმაციას განიცდიდა და საცხოვრებლად უვარგისი ხდებოდა. რამდენიმე წლის წინათ ქალაქ სანლუიში (ამერიკის შეერთებული შტატები) ჭენჭყოიანი ნიადაგის სტაბილიზება მოახდინეს პორტლანდცემენტის ხსნარით. საამისოდ სამშენებლო ნაკვეთზე ამოთხარეს 10,2 სანტიმეტრ დიამეტრის ჭები ერთიმეორიდან 2-3 მეტრის დაშორებით. ნაკვეთის განაპირა ჭების სიღრმე 9,75 მეტრს უდრიდა, ხოლო შიგნითა ჭებისა 6 მეტრს. ცემენტის ხსნარით ნიადაგის გაჟღენთა სწარმოებდა სპეციალური ხელსაწყოთი. ამის შემდეგ ნიადაგი გამაგრდა და უკვე მესამე წელიწადია აქ აშენებული მრავალსართულიანი სახლები არავითარ დეფორმაციას არ განიცდიან.

ჭენჭყოიანი ნიადაგის ცემენტის ხსნარით სტაბილიზაციის მეთოდი გამოყენებულია. ამჟამად საქართველოშიც სხვადასხვა ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობაზე და ხიდების აგებისას.

## ახალი სამგზავრო თვითმფრინავი

ერთ-ერთმა ამერიკელმა საავიაციო-სატრანსპორტო კომპანიის ფირმამ („რ. ა. ა.“) დაამუშავა ახალი დიდი სამგზავრო თვითმფრინავის პროექტი. ამ თვითმფრინავის წონა იქნება 145 ტონა, სიგრძე—55,5 მეტრი, სიგანე 70 მეტრი. თვითმფრინავს ექნება 6 მოტორი.

თვითმფრინავი დაიტევს 204 მგზავრს და 7 ტონა ტვირთს. ფრენის სიშორე 7.500 კილომეტრი იქნება. თვითმფრინავი გათვალისწინებულია ნიუ-იორკ—ლონდონს შორის საფრენად. ამ ორ ქალაქს შორის მანძილს იგი გაიფრენს 9 საათის განმავლობაში. თვითმფრინავზე მგზავრთა კაბინები ორ სართულად არის მოწყობილი. მანქანას შეუძლია იფრინოს 9.000 მეტრ სიმაღლეზე.

ამ თვითმფრინავის პირველი საცდელი რეისის მოწყობა წელს ზაფხულშია გათვალისწინებული.

# საქართველოს რესპუბლიკის მარმარილოს რუკა

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სახელოსნომ დაამთავრა მუშაობა რესპუბლიკისა და მისი მოსაზღვრე რაიონების ახალი რელიეფური რუკის დასამზადებლად მყარი მასალისაგან. რუკა გაკეთებულია ტოპოგრაფ ვ. ტუგულოვის წინადადებით და მისი ხელმძღვანელობით.

რუკა ამოკვეთა ახალგაზრდა მოქანდაკემ ვ. მაღრაძემ თეთრი ქართული მარმარილოს მთლიანი ნაჭრისაგან, რომლის წონა 120 კილოგრამს უდრის. რუკის ზომა 120×70 სანტიმეტრია, მასშტაბი 1:500.000. რუკა ლამაზად და დიდი მხატვრული გემოვნებით არის გაფორმებული. მდინარეების კალაპოტი გაკეთებულია ვერცხლისაგან, ქალაქები, გზატკეცილები და რკინიგზები—სხვადასხვა ფერადი ქვებისაგან. საზღვრები მოჭედილია ბროწეულის ფერის 400 ლამაზი ქვით. ზღვები ნაჩვენებია ღია ცისფერი საღებავით. დიდი ქალაქები, ავტონომიურ რესპუბლიკათა და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის დედაქალაქები—ბათუმი, სოხუმი და სტალინირი აღნიშნულია ლალებით. საქართველოს დედაქალაქი — თბილისი დიდი ზომის ლალით.

# „ზამთრის ზღაპარი“
## მოზარდ მაყურებელთა ქართული თეატრის სპექტაკლი

საზღაპრო დრამატურგია საინტერესო და მრავალფეროვანი მასალაა თეატრალური ხელოვნებისათვის.

„ზღაპარი ჩემი ძველისძველი გატაცებაა, ჩემი სიხარულის საგანია“,—იტყოდა ხოლმე დიდი რუსი მსახიობი და რეჟისორი ალექსანდრე პავლეს-ძე ლენსკი. გენიალური ე. ვახტანგოვი ზღაპრული სახეებით სიცოცხლით სავსე ჰიმნს უგალობდა ცხოვრებას. კ. ს. სტანისლავსკი სწერდა: „სასიხარულოა მოიგონო ის, რაც არასოდეს არ ხდება ცხოვრებაში, რაც, მიუხედავად ამისა, სინამდვილეა და რაც ცოცხლობს ჩვენში, ხალხის რწმენასა და წარმოდგენაში“.

ზღაპრულ სიუჟეტზე არა ერთი და ორი შედევრი შეუქმნიათ მსოფლიო დრამატურგიის ოსტატებს. საკმარისია გავიხსენოთ შექსპირი, შილერი, ოსტროვსკი, გოცი, მეტერლინკი, იბსენი...

ჩვენი საზღაპრო დრამატურგია მოწოდებულია ბრწყინვალე გამომხატველი იყოს იმ იდეებისა, რომლებიც საბჭოთა ადამიანებს აღელვებენ. იგი უნდა დაეყრდნოს ხალხურ შემოქმედებას, გამოიყენოს მისი სიბრძნე და აზრის მხატვრულ სახეებში გადმოცემის ხერხები.

ამ მხრივ ნ. ქუჩუკაშვილის პიესას—„ზამთრის ზღაპარი“ მრავალი სანაქებო თვისება აღმოაჩნდა. პიესის ძირითადი მოტივი ქართველი მკითხველისათვის საკმაოდ ცნობილია. ავტორი დაეყრდნო ხალხურ თქმულებას, დედინაცვალმა თუ როგორ გააგდო სახლიდან თავისი გერი — კეთილი და ლამაზი გოგონა, როგორ გაიკაფა გზა ამ უკანასკნელმა და თავაზიანი ქცევით ოქროს თმები მოიპოვა. ეს გარემოება იძულებულს გახდის ხარბ და შურიან დედინაცვალს საკუთარი შვილიც გაჰგზავნოს ოქროს თმის მოსაპოვებლად. მაგრამ წუნია და უზნეო გოგონა სახლში ბრუნდება თავისი საკუთარი თმებით, გაწეწილი და გამურული. ამ გამოცდამ ტყუილუბრალოდ არ ჩაიარა. უზნეო გოგონას ფსიქიკაში ღრმა ძვრები ხდება. მას სინდისი ქენჯნის და ისეთ კეთილშობილურ საქმეს სჩადის, რომ ისიც ოქროს თმებს მოიპოვებს. შვილის ასეთი საქციელი და ამისათვის მიღებული შესაფერი ჯილდო სავსებით შეცვლის დედინაცვლის დამოკიდებულებას გერისადმი. დედინაცვალიც გაკეთილშობილდება.

„ზამთრის ზღაპარი“ ლამაზი, დახვეწილი ქართული ენით არის დაწერილი. პიესაში ბევრგან გვხვდება პოეტური, მოქმედებით დაძაბული სცენები. მოქმედ პირთა უმრავლესობა რელიეფურად არის გამოკვეთილი.

მოზარდ მაყურებელთა თეატრის კოლექტივს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის გ. ლოლიძის ხელმძღვანელობით ნაყოფიერი მუშაობა ჩაუტარებია. რეჟისორი მთელ რიგ სცენებში გამომსახველ და სურათოვან მიზანსცენებს ჰქმნის. იგი მრავალფეროვნად წარმოგვიდგენს ბუნების ლამაზ სამყაროს ჰარმონიული მთლიანობითა და მიმზიდველობით.

კომპოზიტორმა ე. კურტიძემ ხალხურ მელოდიებზე დაყრდნობით შექმნა კეთილხმოვანი, საინტერესო რიტმის მუსიკალური პარტიტურა. მაგრამ ეს როდია საკმარისი, რომ მუსიკა როგორც სპექტაკლის ერთ-ერთი კომპონენტი, დასახელებულ დადებით თვისებათა გამო, მისაღებად ჩავთვალოთ. რეალისტური სპექტაკლის შესაქმნელად თეატრალურ, კომპონენტთა გამოყენების განმსაზღვრელია ჰარმონიზმის პრინციპი. დიდი რუსი დრამატურგი ჩეხოვი თავის პიესებში მოკლედ და ლაკონიური რემარკებით მიგვითითებს, თუ რა დროს როგორ უნდა წარვმართოთ მუსიკის პარტია ამა თუ იმ სიტუაციის აზრის უკეთ გამოხატვის მიზნით. გავიხსენოთ მაგალითი „სამი დის“ უკანასკნელი მოქმედებიდან. ფინალურ სცენაში სამი დის სიტყვიერ მასალას შეადგენს უიმედო განწყობილების გამოხატვა, რომელმაც ფრთებშეკვეცილი სამი ადამიანის სულში დაისადგურა. როდესაც სცენაზე ასეთი ხასიათის დიალოგები მიმდინარეობს, ჩეხოვის რემარკა გვაუწყებს, რომ ამ დროს უნდა მოისმას სოფლიდან მიმავალი პოლკის ორკესტრის მაჟორული მარშის გამა. ეს მუსიკა, სავსებით კონტრასტული სამი დის განწყობილებასთან, ერთი მხრივ კიდევ უფრო ამძაფრებს მათი ტრაგიკული ბედის სურათს, ხოლო მეორე მხრივ შესანიშნავად გამოხატავს კაცობრიობის მზიურ მომავალს, გამოხატავს ჩეხოვის ჯანსაღ ოპტიმიზმს. სარეცენზიო სპექტაკლში კი მუსიკის წმინდა ილუსტრაციულ გამოყენებასთან გვაქვს საქმე. ასევე ითქმის განათებისა და ხმაურის გამოყენების შესახებაც. ამ მხრივ ყურადღების გამახვილება მართებს რეჟისორ გ. ლოლიძეს.

მხატვარ ს. გაბაშვილის დეკორაციებში მოსაწონია ფერთა კარგი გრძნობა. მხატვარს წარმატებით გადაუჭრია მოქმედ გმირთა კოსტიუმების საკითხი. მაგრამ გაუგებარია — ჯადოსან მესალამურეს რატომ აცვია ევროპული რეიტუზი, მაშინ როდესაც დანარჩენ გმირთა კოსტიუმები აშკარად ქართულია. კარგი იქნებოდა მხატვარი რეჟისორთან ერთად მეტს იზრუნებდეს სათამაშო სივრცის გადაჭრაზე.

ქორეოგრაფ ვ. გამსახურდიას მიერ დადგმული ცეკვების თეატრალური სახე სპექტაკლის ორგანული ნაწილია.

უზნეო გოგონას მარინეს როლს განასახიერებს რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი გ. კუპრაშვილი. მსახიობს მთელი აქცენტი არ გადააქვს მარინეს წუნია და ავყია ხასიათის ჩვენებაზე. მართალია, მარინე უზნეოა, მაგრამ მასში იგრძნობა რაღაც ბავშვური ჭირვეულობა და ამიტომ მაყურებელსაც სჯერა მისი გამოსწორების შესაძლებლობა. კუპრაშვილი შესანიშნავად გრძნობს ზღაპარ-პიესაში სათამაშო გარემოს და მასთან შესაფერის დამოკიდებულებას ამყარებს. მსახიობი ბევრ სცენაში დამაჯერებლად გვიჩვენებს მოქმედების ლოგიკური განვითარების გზას. მარინეს როლი არასწორად არის გაგებული მსახიობ მ. ჭიაურელის მიერ. მაყურებლისათვის სრულიად დაუჯერებელია მარინეს გამოსწორების შესაძლებლობა, ამიტომ ბოლო მოქმედებაში ოქროს თმები მარინეს თავზე მოულოდნელი რამ არის. მთელი პიესის მანძილზე მის ავადმყოფურ საქციელში ერთხელაც ვერ დავინახეთ მარცვალი კეთილშობილებისა.

კეთილი და ლამაზი გერის მარინეს როლში რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი თ. თვალიაშვილი გამოვიდა. თვალიაშვილის მარინე მეტად მიმზიდველი და საინტერესო სახეა. აღსანიშნავია, რომ მსახიობი ოსტატურად ავსებს სცენიურ პაუზებს. შედარებით უფერულად მიჰყავს იგივე როლი მსახიობ ნ. ქიტიაშვილს.

კეთილშობილი ბაბუას მკაფიო სახეს ჰქმნის რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი გ. დარისპანაშვილი და მსახიობი ვ. მაჩაიძე. კარგი იქნებოდა, რომ მსახიობი ვ. არეშიძე (ჯადოსანი) თავის მეტყველებას გაათავისუფლებდეს დაძაბულობისაგან და მეტ ყურადღებას მიაქცევდეს აზრის გადმოცემას. მომხიბლავია მსახიობების ო. ლივარდისა და თ. კეჟეძის (კურდღლები) შეწყობილი თამაში.

ცხოველი თეატრალურობის გრძნობით გამოირჩევიან: ნ. ხორავა (მგელი), თ. კანდელაკი და ო. ნასიძე (ციყვები), თ. ბერიაშვილი და გ. ქუთუნაშვილი (ჭინკები), ა. ღვინიაშვილი (ოფოფი). ამას ვერ ვიტყვით მსახიობ ა. თაბორიძის ტყის დედის შესახებ.

„ზამთრის ზღაპრის“ დადგმამ გვიჩვენა, რომ მოზარდ მაყურებელთა ქართული თეატრი სერიოზულ შემოქმედებითს მუშაობას ეწევა.

რ. ჩხეიძე, თ. აბდალაძე

# გამოუყენებელი შვებულების კომპენსაციათა ანაზღაურება

1 აპრილიდან შემნახველი სალაროები დაიწყებენ ნაღდი ფულის მიცემას იმ მშრომელებისათვის, რომლებსაც ხელთ აქვთ სახელმწიფო შრომითი შემნახველი სალაროების მოწმობები სპეციალური ანაბრების შეტანის შესახებ. წელს, როგორც ცნობილია, დაიწყება ამ მოწმობათა პირველი ტალონის განაღდება.

სპეციალური ანაბრები საბჭოთა კავშირში აქვს მრავალ მილიონ მშრომელს. სწორედ ამიტომ ანაბართა გაცემის მოწესრიგებას დიდი მნიშვნელობა ენიჭება. მარტო საქართველოს სს რესპუბლიკაში 300 ათასზე მეტ მშრომელს აქვს შეტანილი სპეციალური ანაბარი. თბილისში 80.000-ზე მეტმა მეანაბრემ უნდა მიიღოს შემნახველი სალაროებიდან ფული სპეციალური ანაბრის თანხიდან.

მოწმობათა ტალონების მიხედვით ფულის გაცემას აწარმოებენ ყველა ტიპის შემნახველი სალაროები, გარდა შემნახველ სალაროთა სააგენტოებისა. ფულის მიღება მშრომელებს შეუძლიათ ყველა შემნახველ სალაროში, მიუხედავად იმისა, თუ სად იყო შეტანილი ანაბარი. მეანაბრის მასალები თანხა აღნიშნულია მოწმობის სათანადო ტალონზე.

იმისათვის, რომ მუშა-მოსამსახურეები ფულის მიღებაზე არ გაცდნენ და ამავე დროს შემნახველი სალაროებიც არ გადაიტვირთონ ოპერაციების წარმოებით, ამასთან ფულის მიღება ყველას გაუადვილდეს, მიზანშეწონილია სპეციალური ანაბრების შეტანის მოწმობები წარედგინოს საწარმოს ან დაწესებულების ბუხჰალტერიას. ეს უკანასკნელი შეადგენს სიებს, მიიღებს თანხას შემნახველ სალაროში და შემდეგ ამ თანხას გაანაწილებს მუშა-მოსამსახურეებზე ტალონების მიხედვით. ფულის მიღების გასაადვილებლად საწარმო-დაწესებულებებისათვის ცენტრალურ შემნახველ სალაროებში გამოყოფილია ცალკე სარკმელები.

შემნახველ სალაროებში და აგრეთვე საწარმო-დაწესებულებათა ბუხჰალტერიაში მშრომელებმა უნდა წარადგინონ მოწმობები და არა მოწმობებიდან მოჭრილი ტალონები. მოჭრილ ტალონებზე ფული არ გაიცემა. მეანაბრეებს უფლება აქვთ მოწმობათა ტალონების მიხედვით კუთვნილი ფული გადარიცხონ თავიანთ პირად ანგარიშზე შემნახველ სალაროშივე.

მოწმობათა პირველი ტალონით შემნახველი სალაროდან ფულის მიღების საბოლოო ვადად დაწესებულია 1951 წლის 1 იანვარი.

შემნახველი სალაროების მუშაკთა ამოცანაა კარგად მოაწყონ თავიანთი მუშაობა, ისე მოაწესრიგონ საქმე, რომ თანხების გაცემისას ადგილი არ ჰქონდეს რაიმე გაუგებრობას.

ა. პეტროსიანი
სახელმწიფო შრომითი შემნახველი სალაროებისა და სახელმწიფო კრედიტის სამმართველოს უფროსი.

# მომგები ანაბრების მეშვიდე ტირაჟი

შაბათს, 6 აპრილს, საღამოს 7 საათზე, თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის მცირე დარბაზში შესდგება საქართველოს სსრ შემნახველ სალაროებში შეტანილი მომგები ანაბრების მეშვიდე ტირაჟის გათამაშება. ტირაჟში მონაწილეობას მიიღებენ ყველა მეანაბრენი, რომელთაც შემნახველ სალაროში აქვთ თანხები მომგები ანაბრის სახით 1945 წლის ოქტომბრიდან 1946 წლის 1 აპრილამდე.

ტირაჟის გათამაშების მოახლოებასთან დაკავშირებით მომგებ ანაბართა თანხა უკანასკნელ ხანებში დიდად იზრდება. 1946 წლის 1 იანვრისათვის საქართველოს შემნახველ სალაროებში მომგები ანაბრების სახით ირიცხებოდა 7.733.000 მანეთი, 15 მარტისათვის კი ეს თანხა 9.245.000 მანეთამდე გაიზარდა.

მეშვიდე ტირაჟში ყოველ 1.000 მეანაბრეზე გათამაშებული იქნება ერთი მოგება ანაბრის საშუალო ნაშთის 200 პროცენტის რაოდენობით, 2 მოგება—100 პროცენტის რაოდენობით და 22 მოგება—50 პროცენტის რაოდენობით.

ტირაჟის გათამაშების შემდეგ შესდგება კონცერტი.

# „ოსოაბტორგის“ მაღაზია ტყვარჩელში

ტყვარჩელი („კომუნისტის“ სპეც. კორესპონდენტისაგან). „ოსობტორგის“ თბილისის კანტორამ ტყვარჩელში გახსნა სასურსათო მაღაზია. მაღაზიაში მიღებულია დიდძალი სასურსათო საქონელი. ორი დღის განმავლობაში ტყვარჩელელმა მეშახტეებმა მაღაზიაში 10 ათასი მანეთის სასურსათო საქონელი შეიძინეს.

# საერთაშორისო მიმოხილვა

ბულგარული პრესა ფართო კომენტარს უკეთებს სამამულო ფრონტის მთავრობის განცხადებას გადადგომის შესახებ. დემოკრატიული გაზეთები ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ ეს გადადგომა არ არის მთავრობის ან პოლიტიკური კრიზისის შედეგი, და რომ ახალი მინისტრთა საბჭოს შედგენა დაევალა მის წინანდელ მეთაურს—კიმონ გეორგიევს.

როგორც ცნობილია, 1944 წლის 9 სექტემბერს, ბულგარეთისათვის ისტორიულ დღეს, შექმნილმა მთავრობამ შესცვალა დამხობილი ფაშისტური ხროვა. ახალი ხელისუფლება შეიქმნა ისეთ პირობებში, როდესაც ბულგარეთში ჯერ კიდევ არ იყო სახალხო კრება—ფართო წარმომადგენლობითი დაწესებულება, რომელიც მშრომელთა ნება-სურვილს გამოხატავს. გასული წლის ნოემბერში არჩეულ იქნა სახალხო კრება. მან სრული ნდობა აღმოუჩინა მინისტრთა საბჭოს და დაავალა ყველა გადაუდებელი ამოცანის გადაჭრა, რომლებიც დაკავშირებულია ბულგარეთის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის აღდგენასთან. სამამულო ფრონტის დემოკრატიულმა მთავრობამ წარმატებით შეასრულა ეს ამოცანები და მით დაიმსახურა ხალხის მასების დიდი ნდობა და ფართო მხარდაჭერა.

ახლა წამოიჭრა ახალი ამოცანა—შეიქმნას საპარლამენტო მთავრობა, რომელიც შეეფერება დემოკრატიული საპარლამენტო რეჟიმის ჩვეულებებს. სავსებით ბუნებრივია, რომ ეს, თვალსაჩინო პოლიტიკური მოღვაწეების აზრით, მოითხოვს ახალი მთავრობის ორგანიზაციულ სტრუქტურასა და პერსონალურ შემადგენლობაში სათანადო ცვლილებათა შეტანას. მაგრამ დემოკრატიული პრესა ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ახალი მთავრობა იქნება ისეთი მთავრობა, რომელიც განახორციელებს სამამულო ფრონტის საპროგრამო მიზანდასახულობებს. „ეს სავსებით ბუნებრივი და კანონიერია,—აცხადებს გაზეთი „რაბოტნიჩესკოე დელო",—ვინაიდან საყოველთაოდ აღიარებულია, რომ სამამულო ფრონტი დღეს არის საზოგადოებრივი და პოლიტიკური ორგანიზაცია, რომელიც სარგებლობს ბულგარელი ხალხის უაღრესად დიდი ნდობითა და დიდი ავტორიტეტი აქვს". გაზეთი ეხება ახალ მინისტრთა საბჭოს ორიენტაციას და ხაზგასმით აღნიშნავს, რომ საშინაო პოლიტიკაში ეს ორიენტაცია უნდა გამოიხატოს ნამდვილი ხალხური დემოკრატიის დამყარებით და განმტკიცებით, ბულგარეთში ფაშიზმისა და რეაქციის ნაშთების წინააღმდეგ თანმიმდევრული ბრძოლით. მთავრობის საგარეო პოლიტიკა,—„რაბოტნიჩესკოე დელოს" აზრით,—უნდა ემყარებოდეს სამარადისო მეგობრობას საბჭოთა კავშირთან, ნორმალურ და თავაზიან ურთიერთობას ყველა სხვა თავისუფლებისმოყვარე ქვეყანასთან.

დემოკრატიული პრესა აგრეთვე აღნიშნავს, რომ ახალი მინისტრთა საბჭოს ჩამოყალიბება მთავრობაში შესვლის შესაძლებლობას აძლევს ოპოზიციის წარმომადგენლებსაც. მაგრამ, როგორც ბულგარეთის ბევრი გაზეთი და პოლიტიკური მოღვაწე ხაზგასმით აღნიშნავს, ეს მხოლოდ იმ შემთხვევაში განხორციელდება, თუ ოპოზიციის წარმომადგენლები განაცხადებენ თავიანთ მზადყოფნას ლოიალურად იმუშაონ მთავრობასთან სამი მინისტრის მოსკოვის თათბირის გადაწყვეტილებათა საფუძველზე. სამამულო ფრონტში შემავალი პარტიებისა და კავშირების საპარლამენტო ჯგუფებმა განაცხადეს, რომ ისინი ნდობით ეპყრობიან კიმონ გეორგიევს და მზად არიან მონაწილეობა მიიღონ ახალ მთავრობაში. კიმონ გეორგიევი ამჟამად მოლაპარაკებას ეწევა ყველა პარტიისა და კავშირის წარმომადგენლებთან.

* * *

დღითი დღე სულ უფრო დაძაბული ხდება ვითარება საბერძნეთში.

31 მარტს, კვირას, უნდა ჩატარდეს არჩევნები, რომელთა გაყალბებული ხასიათიც ახლა ყველასათვის სრულიად ცხადია. არჩევნები ჩატარებულ იქნება ეამ-ისა და ყველა სხვა პარტიის პროტესტების მიუხედავად, იმისათვის ანგარიშის გაუწევლად, რომ საბერძნეთის მთავრობა თითქმის დაიშალა, ვინაიდან მისი შემადგენლობიდან არსებული მდგომარეობის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად გავიდა 11 მინისტრი. საბერძნეთის პრესა ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ამ დღეს—31 მარტს—არჩევნების ჩატარებას მტკიცედ მოითხოვს ინგლისის მთავრობა.

მხოლოდ მონარქისტები—საბერძნეთში ფაშისტური ტერორის ორგანიზატორები—აშკარად გამოსთქვამენ კმაყოფილებას მოვლენათა მსვლელობის გამო. ისინი სარგებლობენ პოლიციის მფარველობით, ისწრაფვიან ჩაახშონ დემოკრატიული მოძრაობა და იმედი აქვთ ხელისუფლებას ჩაუდგნენ სათავეში. უკვე ახლა მონარქისტთა ლიდერები აშკარად აცხადებენ მონარქიის აღდგენის სურვილს და კიდევაც ცდილობენ დაემუქრონ მეზობელ დემოკრატიულ სახელმწიფოებს.

ბერძენი ხალხის დიდი აღშფოთება გამოიწვია ბევინის წერილმა საბერძნეთის პრემიერ-მინისტრ სოფულისისადმი მოთხოვნით, რათა არჩევნები ჩატარდეს 31 მარტს, თუმცა ეს წერილი არ იყო განკუთვნილი პრესაში გამოსაქვეყნებლად. საბერძნეთის დემოკრატიულმა პარტიებმა და ორგანიზაციებმა დიდ სახელმწიფოებს მიმართეს დეპეშით, რომლითაც სთხოვენ „დახმარება გაუწიონ მათ საბერძნეთში არჩევნების პაროდიის თავიდან აცილებაში და ხელი შეუწყონ ამ ქვეყანაში დემოკრატიული საფუძვლების აღდგენას". თვით სოფულისის აღიარებით, „აუცილებელი წანამძღვრები თავისუფალი არჩევნებისათვის,—კანონიერება და წესრიგი—საბერძნეთში არ არსებობენ".

იუნაიტედ პრესის სააგენტოს კორესპონდენტი აცხადებს, რომ თუ არჩევნები არ გამოიწვევენ მტკიცე მთავრობის შექმნას, მაშინ ინგლისი იძულებული იქნება თავისი ჯარები საბერძნეთში გამოიყენოს „წესრიგის შესანარჩუნებლად". ასეთია, კორესპონდენტის აზრით, ინგლისის ოფიციალური წრეების თვალსაზრისი. რეიტერის სააგენტოს ცნობით, ეს თვალსაზრისი სავსებით ემთხვევა საბერძნეთის პრემიერ-მინისტრ სოფულისის სურვილს, რომელმაც განაცხადა, რომ არჩევნების ჩატარებისთანავე მთავრობა ინგლისს სთხოვს დასტოვოს თავისი ჯარები საბერძნეთში „შინაგანი უშიშროების მოსაზრებებით".

საბერძნეთის მთელ რიგ ქალაქებში, დამოუკიდებლობის დღის დღესასწაულთან დაკავშირებით, მიტინგები შესდგა. პირეიში გამართული ხალხმრავალი მიტინგის მონაწილეებმა მიიღეს რეზოლუცია, რომლითაც მოუწოდებენ ბერძენ ხალხს „ფაშისტური არჩევნების" ბოიკოტისაკენ.

* * *

სამი დიდი სახელმწიფოს საგარეო საქმეთა მინისტრების მოსკოვის თათბირმა შარშან დეკემბერში, სხვა საკითხთა შორის, როგორც ცნობილია, განიხილა საკითხი კორეის შესახებ. „კორეის, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოს, აღდგენის, დემოკრატიულ საწყისებზე ამ ქვეყნის განვითარებისათვის პირობების შექმნის და კორეაში იაპონიის ხანგრძლივი ბატონობის დამღუპველ შედეგთა უსწრაფესად აღმოფხვრის მიზნით,—ნათქვამია მოსკოვის თათბირის ცნობაში,—იქმნება კორეის დროებითი დემოკრატიული მთავრობა, რომელიც მიიღებს ყოველგვარ საჭირო ღონისძიებას კორეის მრეწველობის, ტრანსპორტისა და სოფლის მეურნეობის და კორეელი ხალხის ეროვნული კულტურის განვითარებისათვის". ამავე დროს ამ ქვეყნის მიმართ გათვალისწინებული იყო მეურვეობის დაწესება ხუთ წლამდე ვადით. მეურვეობამ უნდა გამოიწვიოს კორეის თვითმართველობის განვითარება და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის დამყარება.

გადაწყდა აგრეთვე შეიქმნას ერთობლივი კომისია კორეაში საბჭოთა კავშირისა და ამერიკის ჯარების სარდლობის წარმომადგენელთაგან კორეის დროებითი მთავრობის შექმნისათვის ხელშესაწყობად და სათანადო ღონისძიებათა წინასწარ შესამუშავებლად.

ამჟამად საბჭოთა კავშირ-ამერიკის ეს კომისია, რომელიც კორეის დედაქალაქ სეულში შეიკრიბა, მუშაობას შეუდგა. საბჭოთა დელეგაციის ხელმძღვანელმა გენერალ-პოლკოვნიკმა შტიკოვმა, რომელმაც სიტყვა წარმოსთქვა კომისიის სხდომაზე, აღნიშნა, რომ კორეელი ხალხის მთელი შინაური ცხოვრების თანმიმდევრული დემოკრატიზაციის გზაზე „დგანან უდიდესი სიძნელენი, რაც გამოწვეულია იმ რეაქციული და ანტიდემოკრატიული ჯგუფებისა და ცალკე ელემენტების გააფთრებული წინააღმდეგობით, რომლებიც მიზნად ისახავენ ჩაშფუშონ დემოკრატიული წყობილების შექმნისა და განმტკიცების საქმე კორეაში".

ამხანაგმა შტიკოვმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ კორეის მომავალი დროებითი მთავრობა უნდა შეიქმნას ყველა იმ დემოკრატიული პარტიისა და ორგანიზაციის ფართო გაერთიანების ბაზაზე, რომლებიც მხარს უჭერენ მოსკოვის თათბირის გადაწყვეტილებებს.

**ი. ფედოროვი**

# უშიშროების საბჭოში

**ნიუ-იორკი,** 27 მარტი. (საკდესი). უშიშროების საბჭოს სხდომაზე, რომელიც 27 მარტს გვიან საღამოს შესდგა, თავმჯდომარემ გოტიე-ციმ განაცხადა, რომ სსრ კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და საფრანგეთის წარმომადგენელთაგან უშიშროების საბჭოში ირანის საკითხის განხილვის პროცედურის განსახილველად წინა სხდომაზე შექმნილმა კომისიამ შეთანხმებას ვერ მიაღწია.

ამის შემდეგ ხანგრძლივი დისკუსია გაიმართა. ამხ. გრომიკო დაჟინებით იცავდა თავის წინადადებას ირანის საკითხის განხილვის 10 აპრილამდე გადადების შესახებ იმის გამო, რომ საბჭოთა კავშირსა და ირანს შორის სწარმოებს მოლაპარაკება, რომელმაც ურთიერთგაგება გამოიწვია, და საბჭოთა ჯარები გადიან ირანის იმ რაიონებიდან, რომლებშიც ისინი ჯერ კიდევ იყვნენ. ამხ. გრომიკომ სხდომას მოაგონა თავისი წინანდელი განცხადებანი იმის შესახებ, რომ ვადის გადადება საჭიროა, რათა საბჭოთა მთავრობას შესაძლებლობა მიეცეს მოემზადოს დასმული საკითხის განსახილველად.

ბირნსი გამოვიდა ვადის გადადების შესახებ გრომიკოს წინადადების წინააღმდეგ. მან მხარი დაუჭირა ეგვიპტის დელეგაციის წინადადებას—მოსმენილ იქნას ირანის წარმომადგენლის წინასწარი აზრი ამ საკითხზე. კენჭისყრის შედეგად ამხ. გრომიკოს წინადადება უარყოფილ იქნა. ამასთან დაკავშირებით ამხ. გრომიკომ განაცხადა, რომ მის მიერ ზემომოყვანილი მიზეზების გამო, იგი მონაწილეობას ვერ მიიღებს ირანის საკითხზე გამართულ დისკუსიაში და სტოვებს საბჭოს სხდომას.

შემდეგ უშიშროების საბჭომ მოისმინა ირანის წარმომადგენლის აზრი ირანის საკითხის განხილვის პროცედურის თაობაზე.

# ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ყრილობა

**პრაღა,** 29 მარტი. (საკდესი). გუშინ პრაღაში გაიხსნა ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის მე-8 ყრილობა. ესწრება 1 ათასზე მეტი დელეგატი გადამწყვეტი ხმით, რომლებიც პარტიის 1.007 ათას წევრს წარმოადგენენ. კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დავალებით ყრილობა მოკლე შესავალი სიტყვით გახსნა ნოსეკმა. თავის სიტყვაში იგი შეეხო იმ გზას, რაც კომპარტიამ გამოიარა თავისი წინა ყრილობიდან, რომელიც 1936 წლის აპრილში შესდგა.

კომპარტიის ყრილობას ესწრება მრავალი სტუმარი, ნაციონალური ფრონტის პარტიების, პროფკავშირული, ახალგაზრდობის, კულტურული და სასპორტო ორგანიზაციების წარმომადგენლები, ჩეხოსლოვაკიელი და უცხოელი ჟურნალისტები.

მისასალმებელი სიტყვებით გამოვიდნენ სოციალური დემოკრატიის პარტიის სახელით მრეწველობის მინისტრი ლაუშმანი, სახალხო სოციალისტთა პარტიის სახელით — ამ პარტიის თავმჯდომარე პრაღის პრიმატორი ზენკლი, სახალხო პარტიის ცენტრალური კომიტეტის სახელით — დროებითი ეროვნული კრების დეპუტატი ტროიანოვი. ყრილობას აგრეთვე მიესალმნენ პროფკავშირული ორგანიზაციების, ყოფილ პოლიტიკურ პატიმართა კავშირის წარმომადგენლები, ფაბრიკა-ქარხნებისა და ქალაქებისა და სოფლების მრავალრიცხოვანი დელეგაციები.

ყრილობის დღის წესრიგშია კომპარტიის გენერალური მდივნის სლანსკის მოხსენება პარტიის მოღვაწეობის შესახებ მე-7 და მე-8 ყრილობებს შორის განვლილ პერიოდში (1936 წ. აპრილი—1946 წ. მარტი), პარტიის თავმჯდომარის გოტვალდის მოხსენება მიმდინარე მომენტისა და კომპარტიის ამოცანების შესახებ, პარტიის ახალი წესდების მიღება, კოპეცკის მოხსენება იდეური აღზრდისა და პარტიის კულტურული პოლიტიკის შესახებ, ზაპოტოცკის მოხსენება—„ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის 25 წელი", ნეპომუცკის მოხსენება კომპარტიის აგრარული პოლიტიკის შესახებ, გორტის მოხსენება პარტიის პოლიტიკის შესახებ შინამრეწველებისა და ხელოსნების მიმართ, ცენტრალური კომიტეტის არჩევნები.

ყრილობა ოთხ დღეს გასტანს.



მთავარ გერმანელ სამხედრო დამნაშავეთა პროცესი ნიურნბერგში. სურათზე: საბჭოთა ბრალდების მოწმე აკადემიკოსი ორბელი ჩვენებას აძლევს ერმიტაჟისათვის საარტილერიო ცეცხლის განზრახ დაშენის შესახებ.

ფოტო საკდესის სპეციალური კორესპონდენტის ე. ხალდეისა.

# მთავარ გერმანელ სამხედრო დამნაშავეთა პროცესი ნიურნბერგში

### 27 მარტის საღამოს სხდომა

**ნიურნბერგი,** 27 მარტი. (საკდესი). ტრიბუნალის 27 მარტის საღამოს სხდომაზე რიბენტროპის დამცველი ადვოკატი ჰორნი განაგრძობდა დოკუმენტების წარდგენას, რაც მან წინადღეს დაიწყო. ეს დოკუმენტები უმთავრესად შესდგებიან ჰიტლერის სიტყვებისაგან, მთავრობის მოწოდებების, მემორანდუმებისა და კომუნიკეებისაგან. შესვენების შემდეგ დამცველი ჰორნი განაგრძობს დოკუმენტების წარდგენას, ამასთანავე ხშირად და თავხედურად ილაშქრებს მოკავშირეთა წინააღმდეგ. როცა დამცველმა მოიყვანა 51-ე დოკუმენტი, თავმჯდომარემ ლოურენსმა აღნიშნა, რომ ჰორნი მოურიდებლად ბოროტად იყენებს ტრიბუნალის მოთმინებას. ტრიბუნალმა წინადადება მისცა დამცველს დააჯგუფოს დოკუმენტები მათი მნიშვნელობის მიხედვით, დაასაბუთოს მათი დამამტკიცებელი ძალა და წაიკითხოს მხოლოდ ყველაზე საყურადღებო ციტატები, რომლებსაც პირდაპირი კავშირი აქვთ ბრალდებულ რიბენტროპის საქმიანობასთან.

ამის ნაცვლად დამცველი გულმოდგინედ იმეორებს კარგად ცნობილ ჰიტლერულ პროპაგანდას მოკავშირე ქვეყნების სახელმწიფო მოღვაწეთა, კერძოდ განსვენებულ პრეზიდენტ რუზველტის წინააღმდეგ. სხვა დოკუმენტები აშკარად ნაყალბევია. დამცველი, ცხადია, წინასწარი განზრახვით ცდილობს გამოაქვეყნოს ეს დოკუმენტები, რათა ისინი შეატანინოს ტრიბუნალის ოქმში. ოქმში შეტანილი დოკუმენტებით სარგებლობს პრესა. ამრიგად, დაცვის ეს არაკეთილსინდისიერი ხერხი სულაც არ ისახავს იურიდიულ მიზნებს.

ლორდი ლოურენსი იქვე აცხადებს ტრიბუნალის გადაწყვეტილებას, რომ პრესამ არ გამოიყენოს დოკუმენტები მანამდე, სანამ ტრიბუნალი მათ არ მიიღებს დამამტკიცებელ საბუთებად.

თავმჯდომარე წინადადებას აძლევს დამცველს ყველა დოკუმენტი გადასცეს ტრიბუნალს განსახილველად.

ბრალდების საბჭოთა წარმომადგენელი პოლკოვნიკი პოკროვსკი ტრიბუნალს უცხადებს, რომ დამცველ ჰორნს ჯერაც არ გადაუცია საბჭოთა ბრალდებისათვის მის მიერ წარმოსადგენი დოკუმენტები. ის დოკუმენტები კი, რომლებიც გადაეცა საბჭოთა ბრალდებას, არ შეიძლება განხილულ იქნას ტრიბუნალის მიერ. ამ „დოკუმენტების" ნაწილი წარმოადგენს ბინძურ ცილისწამებას მოკავშირე ქვეყნების სახელმწიფო მოღვაწეების წინააღმდეგ.

ბრალდების ინგლისელი წარმომადგენელი მაქსუელ-ფაიფი უერთდება პოკროვსკის პროტესტს და აცხადებს, რომ ბრალდებამ მიიღო არა დოკუმენტები, არამედ მათი აღწერა.

დამცველმა ჰორნმა დაიწყო ახალი დოკუმენტების წაკითხვა, თითქოს არც კი გაეგონოს არც ბრალდების პროტესტი და არც თავმჯდომარის პირდაპირი დირექტივა.

ტრიბუნალი იძულებული გახდა ხანმოკლე დახურულ სხდომაზე მიეღო სპეციალური გადაწყვეტილება, რომელიც დაცვას ვალდებულებას აკისრებს ყველა დოკუმენტი წარადგინოს ოთხ ენაზე წინასწარ გამოუქვეყნებლად. დამცველებმა მხოლოდ უნდა დაასაბუთონ ამ დოკუმენტების დამამტკიცებელი ძალა. ტრიბუნალმა ბრალმდებელთა მოსაზრებანი სწორად სცნო. თავმჯდომარემ განმარტა, რომ ტრიბუნალი ვერ დაუშვებს დამცველთა მიერ შეგროვებული 300-400 დოკუმენტის წაკითხვას და კომენტირებას, ვინაიდან ასეთ შემთხვევაში პროცესს დასასრული არ ექნებოდა. ტრიბუნალმა დაავალა დამცველთ შეასრულონ წინათ დადგენილი წესები.

ამით დამთავრდა ტრიბუნალის საღამოს სხდომა.

### 28 მარტის დილის სხდომა

**ნიურნბერგი,** 28 მარტი. (საკდესი). ტრიბუნალის 28 მარტის დილის სხდომა დაიწყო ბრალდებულ რიბენტროპის დამცველ ადვოკატ ჰორნის გამოსვლით.

იმის გამო, რომ დამცველს არ მოუმზადებია დოკუმენტების თავისი წიგნი, ტრიბუნალის თავმჯდომარეს შეაქვს წინადადება დოკუმენტების წიგნის საბოლოო გაფორმებამდე ტრიბუნალში დასაკითხავად გამოწვეულ იქნას მოწმე ბრალდებულ რიბენტროპის საქმის გამო.

დარბაზში მცველებს შემოჰყავთ რიბენტროპის ყოფილი პირადი მდივანი მარგარიტა ბლანკი. მოწმის მიერ სათანადო ფიცის მიღების შემდეგ მის დაკითხვას იწყებს ადვოკატი ჰორნი. მოწმე ათ წელზე მეტ ხანს მუშაობდა გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროში და თითქმის მთელი ამ ხნის განმავლობაში ბრალდებულის პირადი მდივანი იყო.

უპასუხებს რა დამცველის შეკითხვაზე, თუ რა ურთიერთობა არსებობდა ბრალდებულ რიბენტროპსა და ჰიტლერს შორის, მოწმე აჩვენებს, რომ რიბენტროპი მუდამ დიდი აღტაცებით იხსენიებდა ჰიტლერს და ყოველნაირად ცდილობდა თავისი ყოფაქცევითა და მოქმედებით გაემართლებინა ჰიტლერის ნდობა. ამ ასპარეზზე, დასძენს მოწმე, რიბენტროპს არავითარი დაბრკოლების დანახვა არ სურდა. როგორც მოწმე აღნიშნავს, რიბენტროპმა ჰიტლერისაგან მიიღო პირადი მადლობა, რაც იმით გამოიხატა, რომ რიბენტროპი ფაშისტური პარტიის ოქროს ნიშნით დააჯილდოვეს. რიბენტროპმა, როგორც მოწმე აღნიშნავს, ჰიტლერისაგან პირადი მადლობის წერილი მიიღო თავისი დაბადების დღეს.

რიბენტროპი თავის ხელქვეითებს ეუბნებოდა, „ფიურერის" ყოველი აზრი ჩემს საკუთარ აზრად უნდა ჩათვალოთო. მოწმეს ცამდე აჰყავს ბრალდებულის სხვადასხვა „სათნოებანი". სასამართლოში მიცემული მისი ჩვენება კარგად დასწავლილი როლის მოყოლის შთაბეჭდილებას სტოვებს. როგორც კი დამცველი შეკითხვას მისცემს, მოწმე არც კი დაფიქრდება და ჩქარობს რაც შეიძლება მალე გასცეს პასუხი.

ბრალდების ინგლისელი წარმომადგენელი დევიდ მაქსუელ-ფაიფი აცხადებს, რომ ბრალდება არ აპირებს მოახდინოს მოწმე მარგარიტა ბლანკის ჯვარედინი დაკითხვა, ვინაიდან ფიქრობს, რომ ყველა საკითხზე, რომლებსაც მოწმე შეეხო, უფრო მიზანშეწონილი იქნება თვითონ ბრალდებულის დაკითხვა.

### 28 მარტის საღამოს სხდომა

**ნიურნბერგი,** 28 მარტი. (საკდესი). ტრიბუნალის საღამოს სხდომაზე ბრალდებულ რიბენტროპის დამცველი ადვოკატი ჰორნი შეუდგა მოწმე შმიდტის — გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს ყოფილი თარჯიმანის დაკითხვას. მოწმე დაწვრილებით უპასუხებს და თავის ჩვენებას სრულიად ზედმეტი დეტალებით ტვირთავს. შთაბეჭდილება იქმნება, რომ დამცველი და მოწმე შეთანხმდნენ ყოველნაირად შეუშალონ ხელი პროცესის გაჭიანურებას.

მოწმე შმიდტს რამდენიმე შეკითხვა მისცეს დამცველებმა შტამერმა და ლატერნზერმა. შემდეგ მოწმის ჯვარედინ დაკითხვას შეუდგა მთავარი ბრალმდებლის მოადგილე დიდი ბრიტანეთისაგან მაქსუელ-ფაიფი. უწინარეს ყოვლისა იგი აქვეყნებს მოწმის წერილობითს ჩვენებას, რომელშიც, სხვათა შორის, ნათქვამია: „გერმანიის საგარეო პოლიტიკის ნაცისტური ხელმძღვანელობის ძირითადი მიზნები თავიდანვე იმაში მდგომარეობდა, რომ დაემყარებინათ ბატონობა ევროპის კონტინენტზე. ამ მიზნის შესრულებისაკენ მისწრაფება ახასიათებდა და არსებითად განსაზღვრავდა გერმანიის საგარეო პოლიტიკის ყოველ ნაბიჯს".

მოწმე ადასტურებს ამ ჩვენებას.

დამცველი ეკითხება, არის თუ არა განსხვავება ხელისუფლების სათავეში ჰიტლერელების ჩადგომამდე გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრების ცხოვრებასა და ჰიტლერელი საგარეო საქმეთა მინისტრის ცხოვრებას შორისო. მოწმე გადაჭრით უპასუხებს: „დიახ, არის". აქვე ირკვევა, რომ რიბენტროპს ჰიტლერთან გაცნობამდე ერთი სახლი ჰქონდა. საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტზე რამდენიმე წლის განმავლობაში ყოფნისას რიბენტროპმა მოახერხა შეეძინა ექვსი სახლი და ვეებერთელა, 1.715 ჰექტარი მამული. რიბენტროპმა დიდი მამულები შეიძინა ავსტრიაში, ჩეხოსლოვაკიასა და სხვა ადგილებში.

ჰიტლერელი საგარეო საქმეთა მინისტრის პორტფელის ჰქონე ეს განგსტერი ძარცვაგლეჯაში ჰიტლერს არ ჩამოუვარდებოდა. იგი ძარცვა-გლეჯას სრულიად უტიფრად ეწეოდა: თავის მოწინააღმდეგეებს ტიპიური ჰიტლერული სისასტიკით უსწორდებოდა. დაკითხვით ირკვევა, რომ რიბენტროპმა საკონცენტრაციო ბანაკში დაამწყვდია ფუშლის ციხე-დარბაზის პატრონი, რათა ხელში ჩაეგდო ეს ციხე-დარბაზი. მან საკონცენტრაციო ბანაკში დაამწყვდია თავისი თანაშემწე ლიუტერი, რომელმაც გაბედა გზა გადაელობა მისთვის.

მოწმე აღიარებს, რომ რიბენტროპს, წინააღმდეგ დამცველის მტკიცებისა, არ შეიძლებოდა არ სცოდნოდა საკონცენტრაციო ბანაკების არსებობა. ეს მტკიცდება არა მარტო იმით, რომ იგი დროდადრო საკონცენტრაციო ბანაკებში ამწყვდევდა თავისთვის არასასიამოვნო ადამიანებს. გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს ჰქონდა უცხოეთის პრესისა და რადიოს უამრავი ცნობები გერმანიის საკონცენტრაციო ბანაკების შესახებ საკონცენტრაციო ბანაკების დაწვრილებითი ჩამოთვლით და იქ შემოღებული საშინელი რეჟიმის აღწერით.

მოწმე, სხვათა შორის, აჩვენებს, რომ გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტრომ კარგად იცოდა, თუ ვის ჰქონდა კავშირი ავსტრიაში მომხდარ ჰიტლერულ პუტჩთან. როგორც მოწმე აღიარებს, საგარეო საქმეთა სამინისტროში ყველას უეჭველად მიაჩნდა, რომ ავსტრიის კანცლერ დოლფუსის მოკვლა ჰიტლერულმა ზედაფენამ მოაწყო. ავსტრიაში მომხდარი ჰიტლერული პუტჩის დროს გამოყენებული საშუალებებისა და ხერხების აბსოლუტური მსგავსება ჰიტლერელთა საქმიანობასთან თვით გერმანიაში სავსებით უეჭველს ხდიდა, რომ პუტჩის ორგანიზატორები ჰიტლერელები იყვნენ.

მოწმის დაკითხვის დამთავრების შემდეგ დამცველი ჰორნი კვლავ ცდილობს ამოათრიოს თავისი დაუსრულებელი და უწესრიგო „დოკუმენტები". ტრიბუნალი დამცველს წინადადებას აძლევს შეუდგეს ბრალდებულ რიბენტროპის დაკითხვას.

თავისი ჩვენების დასაწყისში რიბენტროპი მოკლედ მოუთხრობს სასამართლოს თავის ბიოგრაფიას. ჰიტლერი მან გაიცნო 1932 წელს გრაფ ჰელდორფის საშუალებით, რომელმაც მოაწყო რიბენტროპის ხანგრძლივი საუბარი ჰიტლერთან. ცხადია, მათ მაშინვე გამოარკვიეს თავიანთ შეხედულებათა ერთიანობა. რიბენტროპი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ იგი მოხიბლა ჰიტლერმა, და ყოველნაირად ხოტბას ასხამს გერმანელ ფაშისტ ავაზაკთა ხროვის მეთაურის „სულიერ თვისებებს".

რიბენტროპის დაკითხვა გადატანილია შემდეგი სხდომისათვის.

# „ნიუს ქრონიკლის" კორესპონდენტი ისტრიაში არსებული მდგომარეობის შესახებ

**ლონდონი,** 28 მარტი. (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო იუწყება, უკანასკნელი ორი კვირის განმავლობაში მოკავშირეთა კომისია, რომელიც იტალია-იუგოსლავიის საზღვრის საკითხს სწავლობს, მოგზაურობდა ისტრიის პროვინციაში. ეს პროვინცია გასული წლის მაისში იუგოსლავიასთან დადებული შეთანხმების შედეგად იუგოსლავიის დროებითი სამხედრო ადმინისტრაციის გამგებლობაში იმყოფება და ცნობილია როგორც ზონა „ბ".

გაზეთმა „ნიუს ქრონიკლმა" გამოაქვეყნა თავისი კორესპონდენტის ცნობა ტრიესტიდან. ამ ცნობაში კორესპონდენტი ეხება „ბ" ზონაში არსებულ მდგომარეობას და სწერს: „იუგოსლავებს აქვთ უდავო ეთნოგრაფიული, ეკონომიური და მორალური უფლებები. მორალური უფლებები წარმოადგენენ იტალიელ ხელისუფალთა მხრივ 20 წლის გაავთრებული დევნისა და ომის პერიოდში ადგილობრივი სლავი მოსახლეობის წინააღმდეგობის ძლიერი მოძრაობის შედეგს.

ისტრიაში პროიტალიური განწყობილება არ არსებობს. რასობრივი ანტაგონიზმი, რომელიც უმნიშვნელოდ არსებობს ზოგიერთ ადგილას, როგორც დენაციონალიზაციის მკაცრი პოლიტიკისა და სლავური ენის შეზღუდვის და სხვათა შედეგი, გამოწვეული იყო იტალიის მმართველების და არა ადგილობრივი მოსახლეობის მიერ. სწორედ პირიქით, ისტრიაში ატმოსფერო მეგობრულია. კომისიას აქ გულმხურვალედ შეეგებნენ და მიესალმნენ როგორც განმათავისუფლებელს. არავის კრინტიც არ დაუძრავს თუნდაც შორეულ შესაძლებლობაზე, რომ საკითხი იუგოსლავიის სასარგებლოდ არ გადაიჭრას. აქ არ არის მილიტარიზმის არავითარი ნიშანი: არ მიმოდიან ჯარისკაცები, მთელ რაიონში ქვემეხები არ არის მისი განთავისუფლების დღიდან. ყველას აოცებს აქ შექმნილი ვითარების განსხვავება ტრიესტში არსებული მდგომარეობისაგან, სადაც წესრიგის დაცვის პრობლემა სერიოზული პრობლემაა და სადაც ატმოსფერო დაძაბული და არასასიამოვნოა. ეს უნდა აღინიშნოს იუგოსლავებისადმი სამართლიანობისათვის, რომელთა პოლიტიკას, უეჭველია, დასავლეთში ერთგვარი უნდობლობით ეკიდებიან პოლიციური ტერორის, ანტირელიგიური საქმიანობის და სხვათა შესახებ ჭორების გამო. პოლიციური ზეგავლენის გზით შეიძლება ბევრ გლეხს მოუყარო თავი დემონსტრაციაზე, მაგრამ არ შეიძლება აიძულო ისინი იცინონ და სიხარული გამოიჩინონ. ამბები რელიგიის დევნის შესახებ, როგორც სჩანს, აგრეთვე უნიადაგოა, მიუხედავად ვატიკანის საერთო გეზისა, რომელიც მიმართულია ტიტოს წინააღმდეგ, ადგილობრივი სლავი სამღვდელოება მტკიცედ უჭერს მხარს ხალხის ეროვნულ მისწრაფებას. მღვდლები მონაწილეობას იღებდნენ განთავისუფლების ადგილობრივი კომიტეტების მუშაობაში, ხელს აწერდნენ მემორანდუმებს და სარგებლობდნენ თვითეული შემთხვევით, რათა ეჩვენებინათ, რომ ისინი წინააღმდეგი არიან იმისა, რომ საკითხი იტალიის სასარგებლოდ გადაწყდეს".

# შეერთებული შტატების ახალგაზრდობის დელეგაციის წევრთა შთაბეჭდილებანი სსრ კავშირში მოგზაურობაზე

**ნიუ-იორკი,** 29 მარტი. (საკდესი). ამერიკის ახალგაზრდობის იმ დელეგაციის წევრმა, რომელმაც სსრ კავშირში იმოგზაურა, ზანგი ახალგაზრდობის სამხრეთის კონგრესის წარმომადგენელმა კუპერმა ამ დღეებში მოხსენება გააკეთა ზანგი მუშების ნიუ-იორკის სკოლაში. მან გაუზიარა დამსწრეთ შთაბეჭდილებანი სსრ კავშირში მოგზაურობაზე.

„მე,—სთქვა კუპერმა, — მეტწილად ვცხოვრობდი შეერთებული შტატების სამხრეთ ნაწილში, მიმოგზაურნია ინგლისში, საფრანგეთსა და სხვა ქვეყნებში. საბჭოთა კავშირი მსოფლიოში ერთადერთი ქვეყანაა, სადაც მე, როგორც ზანგი, ვგრძნობდი, რომ დისკრიმინაცია სრულებით არ არსებობს". მან აღწერა ფაშიზმის წინააღმდეგ სტალინგრადის ბრძოლის უკვდავი ეპოპეა. კუპერმა ხაზგასმით აღნიშნა ყველა ეროვნებათა თავისუფლება და ქალთა თანასწორუფლებიანობა საბჭოთა კავშირში.

ამერიკელ სტუდენტთა დელეგატმა პორტონმა კორესპონდენტებს განუცხადა, რომ მთელ დელეგაციაზე შთაბეჭდილება მოახდინა საბჭოთა ახალგაზრდობის ენტუზიაზმმა, მამაცობამ და გადაწყვეტილებამ—აღადგინონ სტალინგრადი.

ჟურნალმა „სოვიეტ რაშა ტუდეიმ" თებერვალში გამოაქვეყნა ახალგაზრდობის დელეგაციის იმ წევრთა ვრცელი ინტერვიუ, რომლებიც მოსკოვიდან დაბრუნდნენ. ორგანიზაციის „ამერიკის ახალგაზრდობა თავისუფალი მსოფლიოსათვის ბრძოლაში" წარმომადგენელმა სენკამ სთქვა: „რუსები აშენებენ ახალ მსოფლიოს, რომლის დაცვაც ღირს".

# მასობრივი მიტინგი რანგუნში

**ლონდონი,** 29 მარტი. (საკდესი). რეიტერის სააგენტოს რანგუნელი კორესპონდენტი გადმოგვცემს, რომ იაპონელებისადმი წინააღმდეგობის მოძრაობის წლისთავის აღსანიშნავად რანგუნში გაიმართა მასობრივი მიტინგი, რომელსაც 50 ათასი ბირმელი დაესწრო. მიტინგმა მიიღო რეზოლუცია, რომელიც მოითხოვს ბირმისათვის სრული დამოუკიდებლობის მინიჭებას. მეორე რეზოლუციაში მიტინგის მონაწილენი მტკიცედ მოითხოვდნენ, რომ მთავრობამ მდგომარეობა შეუმსუბუქოს გლეხებს.

დემონსტრანტები გაემართნენ შვედაგონის ცნობილი პაგოდისაკენ, სადაც ანტიფაშისტური ლიგის თავმჯდომარემ აუნგ სანმა განაცხადა: „ბირმა ადრე თუ გვიან მოიპოვებს დამოუკიდებლობას. ბირმის შეჩერება შეუძლებელია. თუ არჩევნები ჩატარდა, ჩვენ ამ არჩევნებში ვიბრძოლებთ და გავიმარჯვებთ და ინგლისის მთავრობის წინაშე დავაყენებთ ბირმისათვის დამოუკიდებლობის მინიჭების პრობლემას. თუ არჩევნები არ შესდგა, ჩვენ გამოვნახავთ დამოუკიდებლობის მოპოვების საშუალებას. ის ფაქტი, რომ ჩვენ ანტიიაპონელები ვიყავით, იმას როდი ნიშნავდა, რომ ჩვენ პროინგლისელები ვიყავით. ჩვენ მუდამ მივისწრაფოდით დამოუკიდებლობის მოპოვებისაკენ".

## კეცხოველის სახელობის საქალაქო პარტკაბინეტში

1 აპრილს, საღამოს 8 საათზე, საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის რაიკომების ინსტრუქტორებისა და პარტორგანიზაციის მდივნებისათვის შესდგება ლექცია: **„კანონი სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების 1946-1950 წლების ხუთწლიანი გეგმის შესახებ".**

ლექციას წაიკითხავს დოცენტი **ბაჯაძე.**

2 აპრილს, დილის 10 საათზე, სახელოსნო სასწავლებლების მუშაკებისათვის შესდგება სემინარული მეცადინეობის შესავალი ლექცია თემაზე: **„კანონი სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების 1946-1950 წლების ხუთწლიანი გეგმის შესახებ".**

ლექციას წაიკითხავს ამხ. **ტატიშვილი.**

## გასწორება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებაში „საქართველოს სსრ სკოლის დამსახურებული მასწავლებლის წოდების მინიჭების შესახებ" (იხ. „კომუნისტის" 1946 წლის 9 მარტის ნომერი) უნდა იკითხებოდეს: **124. სულავას არჩილ სტეფანეს-ძეს.**

**საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტთან არსებულ მარქსიზმ-ლენინიზმის საღამოს უნივერსიტეტში მორიგი მეცადინეობა შესდგება კვირას, 31 მარტს, დილის 10 საათზე კეცხოველის სახელობის საქალაქო პარტკაბინეტის შენობაში (ლენინის ქ. № 41).**

## საქართველოს გეოგრაფიულ საზოგადოებაში

31 მარტს, 1 საათზე, საზოგადოების სხდომათა დარბაზში (კეცხოველის ქუჩა № 11) შესდგება საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოების საჯარო კრება, მიძღვნილი პროფესორ ა. ფ[...]ლაისტერის ხსოვნისადმი.

დასწრება თავისუფალია.

## ლექცია

2 აპრილს, საღამოს 8 საათზე, საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ორჯონიკიძის რაიკომის პარტკაბინეტში (ლენინის [...] № 11) შესდგება ამხ. **ფრიშენბერგის** ლექცია რუსულ ენაზე.

თემა: **„საბჭოთა კავშირის საერთაშორისო მდგომარეობა".**

## თეატრებში

**31 მარტს: სახელმწიფო ოპერა—„მთები[...] გული". რუსთაველის სახელობის—„საპატარძლო აფიშით". მარჯანიშვილის სახელობის—„უმზითვო". გრიბოედოვის სახელობის—„[...] იქნება". მუსიკალური კომედიის—„კოლომბინა". სანკულტურის—„პატიოსნებისათვის". [...]ხური—„შესაფერი ჯილდო". ახუნდოვის სახელობის—„ფახრად და შირინი". მოზარდ მაყურებელთა ქართული—„ადვოკატი პატლენი".**

პასუხისმგებელი რედაქტორი
**გ. ნანიტაშვილი**

**1946 წლის 1 აპრილიდან შემნახველი სალაროები შეუდგებიან სახელმწიფო შრომის შემნახველი სალაროს სპეციალური ანაბრის მისალები მოწმობის პირველი ტალონით ფულის გაცემას.**

ტალონებს გაანაღდებს ყველა შემნახველი სალარო (გარდა სააგენტოებისა), ტალონების განაღდება იწარმოებს აგრეთვე საწარმო-დაწესებულებათა მეშვეობით მუშა-მოსამსახურეთა სამუშაო ადგილზე.

საწარმო-დაწესებულებათა მეშვეობით ფულის მისაღებად მუშა-მოსამსახურეებმა უნდა წარადგინონ სპეცანაბრების მოწმობები თავიანთი ორგანიზაციის ბუხჰალტერიაში.

საწარმო-დაწესებულებათა მეშვეობით ფულის მიღების გაფორმების წესის შესახებ ორგანიზაციათა ბუხჰალტრებმა უნდა მიიღონ ცნობები ცენტრალურ შემნახველ სალაროში.

იმ შემთხვევაში თუ მუშა ან მოსამსახურე მოისურვებს პირადად მიიღოს ფული მოწმობის ტალონით შემნახველ სალაროში, მან სპეციალური ანაბრის მოწმობასთან ერთად უნდა წარუდგინოს შემნახველ სალაროს თავისი პასპორტი ან პირადობის დამადასტურებელი სხვა საბუთი. მოწმობებიდან მოხეული ან მოჭრილი ტალონები არ განაღდდება.

მოწმობის ყოველ მფლობელს შეუძლია, თუ სურვილი აქვს, ჩარიცხოს თავისი კუთვნილი თანხები ფულად ანაბარში.

პირველი ტალონით ფულის გაცემა იწარმოებს 1951 წლის 1 იანვრამდე.

**საქართველოს სსრ სახელმწიფო შრომის შემნახველი სალაროების და სახკრედიტის სამმართველო.**

მოქალაქე **ალექსანდრე ათანასეს-ძე თევდორაძემ,** მცხოვრებმა ლერმონტოვის ქ. № 11, აღძრა საქმე იქვე მცხოვრებ მოქალაქე **ანასტასია იოსების-ასულ მირიანაშვილთან** განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის ბერიას რაიონის მე-3 უბნის სახალხო სასამართლო.

მოქალაქე **პავლე პეტრეს-ძე მაისურაძემ,** მცხოვრებმა კომბაინის ქ. № 37, აღძრა საქმე გურამიშვილის ქ. № 19 მცხოვრებ მოქალაქე **ელენე ილიას-ასულ ხურციძესთან** განქორწინების შესახებ. საქმე განხილული იქნება თბილისის ორჯონიკიძის რაიონის III უბნის სახალხო სასამართლოში.

ოჯახი იუწყება **თამრიკო კრაწაშვილის** გარდაცვალებას. გამოსვენება 31/III, 5 ს[...] პლეხანოვის, 122.

ოჯახი იუწყება **ლიდა სოლომონის-ასულ რუხაძის** გარდაცვალებას. გამოსვენება 31/III, ნინოშვილის, 88.

პ. ჩხატარაშვილი, დ. ვაშაყმაძე, ნ. რამ[...]შვილი, ზ. დუმბაძე, ე. კალანდარიშვილი იუწყებიან **მაიკო დიმიტრის-ასულ ცხომელიძის** გარდაცვალებას.

კოლმეურნეების ოჯახი იუწყება **ეფემია ვასილის-ასულ თათრიშვილის** გარდაცვალებას. გამოსვენება 31/III, 2 ს. სტავროპოლის, 1[...]

ოჯახი იუწყება **დიმიტრი არისტოს-ძე აბაშიძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 2/IV [...] წულუკიძეში.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქუჩა № 28. ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის—3-08-67, ხამდივნოს—3-06-88, განყოფილებებისა: პროპაგანდის—3-82-05, პარტიული ცხოვრებისა და საბჭოთა მშენებლობის—3-81-84, ადგილობრივ კორესპონდენტთა ქსელის და მშრომელთა წერილების—3-73-24, სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო-სატრანსპორტო—3-80-83, კულტურის, ყოფაცხოვრებისა და ინფორმაციის—3-80-84, მორიგისა და გამომშვების—3-81-65, გამომცემლობის—3-51-81, სტამბის დირექტორის—3-77-70.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 28. ტირაჟი 110,000. უე 00042